...ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 212 (20253) — შაბათი, 13 სექტემბერი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვი კრასნოიარსკში ჩავიდა

12 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვიდან კრასნოიარსკში გაფრინდა.

იმავე დღეს მ. ს. გორბაჩოვი კრასნოიარსკში ჩაფრინდა. აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ს. შენინი, კრასნოიარსკის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ი. სერგიენკო, პარტიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრები.

სურათზე: კრასნოიარსკის აეროპორტიდან ქალაქში გზად მიმავალი მ. ს. გორბაჩოვი სოფელ ემელიანოვოსთან ადგილობრივ მცხოვრებთ ესაუბრება.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

იმასთან დაკავშირებით, რომ 20 სექტემბერს იხსნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ... ერთაშორისო ურთიერთობის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი რ. ს. ოვინიკოვი. ... საბჭომ დაამტკიცა ბელორუსიის სსრ რესპუბლიკის დელეგაცია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ...

(საქინფორმი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

... გარდაქმნის გზაზე

● ვითარდება ინდივიდუალური მესაქონლეობა ● შვიდ თვეში სახელმწიფოს მიეყიდა 41 ტონაზე მეტი ხორცი ● საკარმიდამო მიწის მოცდენა შეუწყნარებელია ● ამ საკითხს სოფლის ყრილობა უნდა იხილავდეს.

ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი იცვლება, — ამბობენ ბერძნები. ეს სიბრძნე ამოტივტივდა მეხსიერებაში, როცა ობუჯიდან ვბრუნდებოდი.

ჩემი იქ ყოფნის მიზანი უბრალო იყო, მინდოდა გამეგო და საკუთარი თვალით მენახა, როგ... დით, რომ ლამის მეცხოველეობის პროდუქტები სანატრელი გაგვიხდეს. ობუჯის მაგალითს თუ მოვიშველიებთ, გაბედულად ვიტყვით, გლეხი რომ ეკონომიურად გაძლიერდა, ოჯახი რომ მაძღარი დაიგულა, საზოგადოებრივ შრომასაც უფრო გუ...

გ. კაკაჩია პირადად ... ავს, მაგრამ შევიტყეთ, ... მის ოჯახს ერთ-ერთი გამრჯე ... ხის სახელი დაუმსახურებია ... საკუთარი წარმოების პროდუქტით უხვად გაუმასპინძლდება.

სხვაც ბევრი შეიძლება დავასახელოთ ამ სოფლიდან, რომელთა სახით ობუჯი მძლავრად მიაბიჯებს გარდაქმნის გზაზე და წალენჯიხის რაიონის ამ მთიან სოფელში შესამჩნევად იგრძნობა დღევანდელი დღის მაჯისცემა...

ცხოვრება

ჩვენი მასწავლებელია

...

ვ. ხარიბაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

ზვალინდელი მოსავალი დღეს იბადება

... ღენი, რამდენიც გასული წლის ამავე პერიოდში იყო მოთიბული.

დამზადებულია მხოლოდ 1.214.458 ტონა უხეში საკვები, რაც გეგმის 75 პროცენტს შეადგენს. კვლავ სერიოზული ჩამორჩენაა თივისა და ჩალა-ბზის და... ნენტია პირუტყვის მაძღრისი გამოზამთრებისათვის საზოგადოებრივი მეცხოველეობის უზრუნველყოფაში.

ბალახის ფხვნილის წარმოება რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში (ტონობით).

	გეგმა	წარმოებულია
აფხაზეთის ასსრ	650	80
აჭარის ასსრ	500	148
სამხრეთ ოსეთის აო	350	125
ქ. წყალტუბოს ზონა	700	78
აბაშის რაიონი	930	300
ახმეტის	380	260
გარდაბნის	1700	1258
გეგეჭკორის	800	557
გორის	320	176
გურჯაანის	950	1038
ზესტაფონის	136	103
ზუგდიდის	450	415
ლაგოდეხის	1100	730
ლანჩხუთის	515	222
მახარაძის	—	132
მარნეულის	15440	8965
მცხეთის	100	119
საგარეჯოს	930	523
სამტრედიის	630	504
სიღნაღის	1870	1065
თელავის	200	165
თეთრი წყაროს	150	230
ხობის	700	453
წალკის	130	—
წითელწყაროს	3700	2022
ცხაკაიას რაიონი	700	323

(საქინფორმი).

სსრ კავშირში ვიზიტად ჩამოდის ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვო ჩი კონგი

...

სოციალური სფერო

ფული ნელა ბრუნავს

...

ზ. ამაშუკელი,
„კომუნისტის" ...

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

10 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავის სხდომაზე განიხილა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები. ამას წინ უძღოდა მოკავშირე რესპუბლიკების, სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისა და დარგების მიერ წარმოდგენილი გეგმის საპროექტო მონახაზების ყოველმხრივი განხილვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმში.

გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები შემუშავებულია სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების, ხუთწლედის დავალებების შესაბამისად და იმ პროცესების გათვალისწინებით, რომლებიც ეკონომიკაში მიმდინარეობდა 1986-1988 წლების მანძილზე. მომავალი წლისათვის სახალხო მეურნეობის განვითარების დასახული მაჩვენებლების ამოსავალი ბაზა გახდა საწარმოო გაერთიანებების, ქარხნების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მშენებლობების გეგმები, რომლებიც შრომითმა კოლექტივებმა შეიმუშავეს, როგორც ეს სსრ კავშირში სახელმწიფო საწარმოსა და კოოპერაციის კანონებით არის გათვალისწინებული.

გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების განხილვისას აღინიშნა, რომ მათს მომზადებაზე ძირეული გავლენა მოახდინეს XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ეკონომიკის ხელახალი სოციალური ორიენტაციის გაძლიერებას. საპროექტო მონახაზებით გათვალისწინებულია გადიდდეს მოხმარების ფონდის წილი გამოყენებულ ეროვნულ შემოსავალში, არსებითად გაუსწროს მრეწველობის „ბ" ჯგუფის ზრდამ „ა" ჯგუფის ზრდას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმას, რომ გაისად უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე. მათი მოცულობა არსებითად იზრდება ხუთწლიანი გეგმის იმ დავალებებთან შედარებით, რომლებიც 1989 წლისათვის არის დაწესებული. მწვავედ მიმდინარეობდა აგრეთვე სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების გეგმის საპროექტო მონახაზის განხილვა. სხდომაზე მკაცრად გააკრიტიკეს სსრ კავშირის მთელი რიგი უწყება-სამინისტროების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ხელმძღვანელების პოზიცია, რომლებიც ძველი საზომებით მიუდგნენ მომსახურების სფეროს გაფართოების, ჯანდაცვის ობიექტების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის საგეგმო დავალებათა დაძაბულობის შეფასებას.

ამასთანავე სხდომის მონაწილეებმა შეაფასეს რა გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათი სოციალური მიზანმიმართულობის გაძლიერება უნდა ეყრდნობოდეს მოკავშირე რესპუბლიკებში, სახალხო-სამეურნეო კომპლექსებში, დარგებში წარმოების ეფექტიანობისათვის წაყენებულ მაღალ მოთხოვნებს. ისინი მოვალენი არიან უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ქვეყნის საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღებას, რადიკალური ეკონომიკური რეფორმის გაღრმავებას, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართო მასშტაბით გამოყენებას.

განხილვის დროს დეტალურად იმსჯელეს მასალა-ნედლეულითა და მოწყობილობით სახალხო-სამეურნეო კომპლექსების საიმედო უზრუნველყოფის პრობლემის შესახებ. სხდომის მონაწილეთა გამოსვლებიდან კიდევ უფრო აშკარად გამოვლინდა, რომ წარმოება და კაპიტალური მშენებლობა არ არის საკმაოდ შეწონასწორებული მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან.

სხდომის ბევრმა მონაწილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ზოგად-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე უარყოფითს გავლენას ახდენს ზოგიერთი სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკის გეგმების პროექტებში დაშვებული გადახრები ხუთწლედის დავალებებთან შედარებით. განსაკუთრებით მწვავედ გააკრიტიკეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, რომლებიც ზოგად-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრას არ მოეკიდნენ ჯეროვანი მომთხოვნელობითა და პრინციპულობით. ეს ეხება უზბეკეთისა და ყაზახეთის მოკავშირე რესპუბლიკებს, რომელთა გეგმების საპროექტო მონახაზები ვერ უზრუნველყოფს ხუთწლედის დავალებათა დონეზე გასვლას მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით. დავალებებთან შედარებით მნიშვნელოვანწილად ასეთივე გადახრებია დაშვებული რუსეთის ფედერაციის განვითარების გეგმებშიც.

განსაკუთრებით გულდასმით გაანალიზდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაობა. აღინიშნა, რომ აქ ნელა იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, არ კლებულობს დანაკარგები მისი შენახვის, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების დროს, არ სრულდება შაქრის ფხვნილის, მცენარეული ზეთის, კარტოფილის პროდუქტების, სწრაფადგაყინული ხილბოსტნეულის, რძეპროდუქტების გამომშვები სიმძლავრეების, აგრეთვე თევზის გადამამუშავებელი საწარმოებისა და მაცივრების ამოქმედების გეგმები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად შეტანილი გეგმის საპროექტო მონახაზები მნიშვნელოვანწილად დააცხრობს დაძაბულობას ამ საკითხებში.

ამასთანავე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახაგრომრეწვისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ხელმძღვანელობას დაევალა დახვეწოს გეგმის პროექტი, რათა უზრუნველყოს სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილება. მთავრობამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საპროექტო მონახაზები ნაკლებად ემყარება შესაძლებლობებს, რომლებსაც გვისახავს ახლებური ეკონომიკური ურთიერთობა აგროსამრეწველო კომპლექსში, მათ შორის, კოლექტიური, საოჯახო და საარენდო იჯარა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოოპერატივების შექმნა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინა, რომ უაღრესად მწვავე მდგომარეობაა შექმნილი მოსახლეობის მყიდველუნარიანი მოთხოვნის საქონლით რესურსებით უზრუნველყოფის მხრივ, და დაავალა სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მაქსიმალურად გამოიყენონ საწარმოო სიმძლავრეები სახალხო მოხმარების საქონლის გამოსაშვებად. მათ უნდა აღკვეთონ გეგმებიდან მასობრივი მოთხოვნის იაფი საქონლის წარმოების შემდგომი ამოგდება, გაერკვნენ სახელშეკრულებო ფასებისა და სხვადასხვა ფასდებების გამოყენების პრაქტიკაში, გადაკეტონ ყოველგვარი საძრომი, რომელთა შემწეობითაც ცალკეული საწარმოები და გაერთიანებანი ზრდიან თავიანთ შემოსავალს პროდუქციის გაძვირების გზით. მიღებულია გადაწყვეტილება გადიდდეს საცალო საქონელბრუნვის მოცულობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად შემოტანილ საპროექტო მონახაზებთან შედარებით.

სსრ კავშირის მთავრობა დიდი შეშფოთებით მოეკიდა იმ ფაქტს, რომ მთელ რიგ სამინისტროთა მიერ წარმოდგენილი წინადადებანი მოსახლეობის ფასიანი მომსახურების შესახებ აშკარად შემცირებულია. საჭიროდ არის მიჩნეული, რომ ასეთი მომსახურების მატების ტემპი 1989 წელს უპროფილო სამინისტროების ხაზით გადიდდეს სულ ცოტა 15 პროცენტით.

შეაჯამა რა ამ პრობლემის განხილვის შედეგები, სსრ კავშირის მთავრობამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ 1989 წლის გეგმის პროექტის დახვეწის დროს მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინონ აგრეთვე კოოპერაციის, როგორც სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ორგანული შემადგენელი ნაწილის შესაძლებლობანი.

აქტიურად განიხილავდნენ საკითხებს, რომლებიც ეხება კაპიტალური მშენებლობის საქმის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების, ამ სფეროში სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ღონისძიებებს. კაპიტალური მშენებლობის განყოფილების წარმოდგენილი საგეგმო პროექტი ვერ უზრუნველყოფს საქმის ძირეულ გაუმჯობესებას დარგში, რომელზეც გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული სახალხო კეთილდღეობის ამაღლებისა და ქვეყნის საწარმოო ბაზის განმტკიცების დასახული პროგრამების რეალიზაცია. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახმშენს დაევალათ გულდასმით გააანალიზონ სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების დასახული მოცულობის საფუძვლიანობა იმ პოზიციებიდან, რომ შეუწონასწორონ იგი მატერიალურ-ტექნიკურ და საფინანსო რესურსებს, აგრეთვე საიჯარო ორგანიზაციათა სიმძლავრეებს.

შეუწყნარებელია, რომ ქვეყნის ეკონომიკას კვლავ მძიმე ტვირთად აწევს დაუმთავრებელი მშენებლობის უდიდესი მოცულობა.

სსრ კავშირის სახმშენის ხელმძღვანელობას, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მინისტრებს ამხანაგებს ა. ა. ბაბენკოს, ს. ვ. ბაშილოვს, ვ. ი. რეშეტილოვს, ა. ნ. შჩეპეტილნიკოვს დაევალათ მიიღონ ეფექტიანი ზომები ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად. თავი მოუყარონ ძალებსა და საშუალებებს 1989 წლის ასამოქმედებელ ობიექტებში. დასახულია ამოცანა უზრუნველვყოთ, რომ საწარმო-ორგანიზაციებმა უფრო სრულად გამოიყენონ მათ მიერ გამომუშავებული სახსრები წარმოების ტექნიკური განახლების, რეკონსტრუქციისა და გაფართოების, სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების აგებისათვის.

გეგმის იმ საპროექტო მონახაზების განხილვამ, რომლებიც მანქანათსაშენებელი და ქიმიურ-სატყეო კომპლექსების მიხედვით არის დასახული, ცხადყო, რომ აქაც გვაქვს მნიშვნელოვანი რეზერვები 1989 წელს საქმის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მთავრობა დათანხმდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მანქანათმშენებლობის ბიუროს ხელმძღვანელობის იმ წინადადებას, რომ საგაისო გეგმის საპროექტო მონახაზებსა და ხუთწლედის დავალებებს შორის არსებული გარღვევა მაქსიმალურად შეივსება პროგრესულ სახეობათა ტექნიკისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების გზით, ნაცვლად იმ პროდუქციის გამოშვებისა, რომელზეც არ არის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნა.

საფუძვლიანად განიხილეს იმ საწარმოთა ზარალიანობის ლიკვიდაციის საკითხები, რომელთა სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული ზარალი შეადგენს 11 მილიარდ მანეთს წელიწადში. ასეთი მდგომარეობა წარმოშობს სხვათა მოიმედეობის განწყობილებას, აბრკოლებს სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლას. აღინიშნა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრავალგზის გადაწყვეტილებათა მიუხედავად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრაქტიკულად ყველა ბიურო, ცენტრალური ეკონომიკური ორგანო, სსრ კავშირის უწყება-სამინისტროები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ჯერ კიდევ უგულვებელყოფენ ამ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანის უსწრაფესი გადაწყვეტის მნიშვნელობას. სსრ კავშირის მთავრობამ შესაბამის მმართველობითს ორგანოებს დაავალა უზრუნველყონ, რომ შეიმუშაონ და უახლოეს ხანს დამტკიცდეს სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისა და დარგების საწარმოთა ზარალიანობის ლიკვიდაციის პროგრამები.

პრობლემის გადაჭრის ძირითადი გზაა ასეთ საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება. ეს არის მათი შრომითი კოლექტივების, სამინისტროებისა და უწყებების მთავარი ამოცანა. ამასთან ისეთ საწარმოებთან დაკავშირებით, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე არიან ზარალიანი და არ გააჩნიათ შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის რეალური პერსპექტივა, რეკომენდებულია მოვიმოქმედოთ ისეთი ღონისძიებებიც კი, როგორიც არის სუსტ საწარმოთა შეერთება ეკონომიკურად ძლიერ წარმოებებთან, ძირითადი ფონდების იჯარით გადაცემა ან არარენტაბელურ საწარმოთა ლიკვიდაცია კანონის შესაბამისად.

დიდი ყურადღება დაეთმო 1989 წლის სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებას. სახელმწიფო შეკვეთის მოცულობის არსებითი შემცირება საწარმოებისაგან მოითხოვს ძირეულ ცვლილებებს ერთმანეთთან ურთიერთობაში. ასეთ პირობებში „ჰორიზონტალზე" დამყარებულ საიმედო სამეურნეო კონტაქტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სსრ კავშირის მთავრობამ მინისტრებს, სსრ კავშირის უწყებათა ხელმძღვანელებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაავალა აღმოფხვრან ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი და უზრუნველყონ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადება ა. წ. 15 ოქტომბრამდე. კონტროლი და საჭირო პრაქტიკული დახმარების გაწევა დაეკისრა სსრ კავშირის სახმომარაგებას.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ზოგიერთი სხვა საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია მომავალი წლის გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავებასთან და მათი წარმატებით შესრულების უზრუნველყოფასთან.

განხილვის შედეგების მიხედვით მთავრობამ საფუძვლად მიიღო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები და დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს განაგრძოს მუშაობა მათს დასახვეწად, რათა უფრო სრულად გაითვალისწინოს მეთორმეტე ხუთწლედის მეოთხე წლის თავისებურებები, რეალური პირობები და ამოცანები.

1989 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების საბოლოო დამუშავების შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მათ განსახილველად წარუდგენს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ვ. ი. ვოროტნიკოვი და ნ. ნ. სლიუნკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ი. დ. მასლიუკოვი და ნ. ვ. ტალიზინი.

სხდომას უძღვებოდა და სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი.

(საქდესი)

პარტიული ცხოვრება: განვახორციელოთ სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებანი!

გარდაქმნას ალტერნატივა არა აქვს

დღეს, როდესაც ჯერ კიდევ არ განელებულა სკკპ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მუშაობისა და გადაწყვეტილებებისაგან მიღებული პირველი ღრმა შთაბეჭდილებანი, თითოეული კომუნისტის ვალია კრიტიკულად გადახედოს მთელ თავის საქმიანობას და გაწეული მუშაობის ავ-კარგიც იმის მიხედვით განსაჯოს, თუ რა გააკეთა მან კონკრეტულად კონფერენციის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუშაობის გარდაქმნის აქტიური მცდელობა ყვარლის რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში სკკპ XXVII ყრილობის შემდგომ დაიწყო. და დაიწყო იგი უწინარესად პარტიის რაიკომის ბიუროს მუშაობის ავ-კარგის განსჯით.

ამ მიზნით ბიურომ განიხილა საკითხი „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად მუშაობის სტილის გარდაქმნისა და სრულყოფისათვის საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ". სხდომაზე პირუთვნელად და შეულამაზებლად გაანალიზდა გაწეული მუშაობის დადებითი შედეგებიც და ჩვენი საქმიანობის თანმდევი უარყოფითი მომენტებიც, რომლებიც, არ დავფარავ, იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა.

ცხადია, შევიმუშავეთ ამ მიმართულებით შემდგომი მოქმედების პროგრამა, რომელიც შეივსო და დაიხვეწა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად.

იმის თაობაზე, თუ რა გაკეთდა სამისოდ, როგორ მიმდინარეობს გარდაქმნის პროცესი რაიონში და როგორ ვხელმძღვანელობთ მას, რაიკომის ბიურომ ანგარიში ჩააბარა პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმს გასული წლის მიწურულს.

პლენუმის ატმოსფერომ და კომუნისტთა სულისკვეთებამ ცხადყო, რომ მათ აშკარად სურთ და მზადაც არიან ერთმანეთს პარტიული პირდაპირობით მიუთითონ ნაკლოვანებებზე, მუშაობაში არსებულ ჩავარდნებზე, გარდაქმნის მიმდინარეობისადმი ხელმძღვანელობის საკითხებზე. ნიშანდობლივია, რომ ამ პლენუმზე პირველად გამოიკვეთა ერთი საგულისხმო ფაქტი — კრიტიკული შენიშვნების დიდი უმრავლესობა რაიონის ხელმძღვანელობის მისამართით გამოითქვა. ამას კი იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ჩვენი პრობლემები უპირატესად ჩვენივე არათანამიმდევრული მუშაობის შედეგია და ამასთან ერთად გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ დემოკრატიისა და საჯაროობის პრინციპი — გარდაქმნის მყარი საფუძველი ნელ-ნელა იკიდებს ფეხს რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუმცა იმის მტკიცებას არ მოვყვები, რომ შტამპებს, სტერეოტიპებს, ინერციასა და უსარგებლო ჩვევებს უკვე მთლიანად დავაღწიეთ თავი. გასაგებია, რომ ყველაფერს ერთბაშად ვერ დავძლევთ, ვერ მოვერევით, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ტენდენცია უკვე გამოიკვეთა, გარდაქმნის მაჯისცემა ძლიერდება.

რაიონული კომიტეტის აღნიშნულ პლენუმზე ჩვენი მისამართით გამოთქმულმა კრიტიკამ და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საჭიროა საქმისადმი ახლებური, ნოვატორული მიდგომა, მუშაობის ძირეული გარდაქმნა, ნაკლოვანებების გაბედულად მხილება და აღმოფხვრა. პარტიის რაიკომი სწორედ ამგვარად უდგება, კერძოდ, აგროსამრეწველო კომპლექსისადმი ხელმძღვანელობას. მით უმეტეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი ივლისის პლენუმზე სასურსათო პროგრამის საკითხი პრინციპული მნიშვნელობის ძირეულ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხად იქნა მიჩნეული.

ზემოთ დადებითი ტენდენციები ვახსენე. რაში გამოიხატება ეს? გვაქვს თუ არა ძვრები რაიონის ეკონომიკურ, სოციალურ, სულიერ ცხოვრებაში? ციფრები მოვიშველიოთ: მეთორმეტე ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში რაიონში სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპმა წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით 102,5 პროცენტი შეადგინა. რაიონის სოფლის მეურნეობაც მტკიცედ დაადგა სტაბილური განვითარების გზას. საგულისხმო მიღწევები გვაქვს მარცვლეულის წარმოებასა და დამზადებაში.

რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსში მიღწეული ეს და სხვა წარმატებები ერთგვარად გაგვიფერმკრთალდა, რადგან ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით ვერ მივაღწიეთ სასურსათო პროგრამით გათვალისწინებულ საკონტროლო დონეს. ეს, უწინარეს ყოვლისა, ითქმის მევენახეობაზეც. ამ დარგში გეგმების შეუსრულებლობა ზარალიან და დაბალრენტაბელურ მეურნეობათა რაოდენობის ზრდის მიზეზად იქცა.

ამის გამო პარტიის რაიონული კომიტეტის საქმიანობა სრულიად სამართლიანად გააკრიტიკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. ამ კრიტიკიდან სათანადო დასკვნა გავაკეთეთ — ამჟამად რაიონში კონკრეტული ღონისძიებანი ხორციელდება არა მარტო მევენახეობის, არამედ მთლიანად სახალხო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის.

ამ მიმართულებით მუშაობის რადიკალური გაუმჯობესების რეალურ საშუალებად გვესახება სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების მეთოდის დანერგვა, საწარმოო დემოკრატიის განვითარება, ადამიანის ფაქტორის გააქტიურება.

ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვას. თუ 1987 წელს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შიდასამეურნეო ანგარიშისა და იჯარის პრინციპით მოქმედებდა 146 საწარმოო ქვედანაყოფი, მიმდინარე წლისათვის უკვე ფუნქციონირებს 189, მათ შორის არენდით — 11 ქვედანაყოფი. მევენახეობის დარგში 14 ქვედანაყოფში დანერგილია ბრიგადული, ხოლო 127-ში საოჯახო იჯარა, რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებთან შექმნილია 3 სასოფლო-სამეურნეო ხასიათის კოოპერატივი.

პრაქტიკა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ იჯარით მუშაობამ საუკეთესო შედეგები გამოიღო მთელ რიგ უბნებზე. ამის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში №8 ბრიგადამ მასზე გაპიროვნებული 44 ჰექტარი ვენახიდან 5246 ცენტნერი ყურძენი მიიღო, გეგმით გათვალისწინებულზე 1806 ცენტნერით მეტი, საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 120 ცენტნერი შეადგინა, ბრიგადის შემოსავალმა — 272 ათასი მანეთი, მოგებამ კი 71 ათას მანეთს გადააჭარბა. ქინძმარაულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის არენდული იჯარით მომუშავე შვიდკაციანმა მეცხოველეობის ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 309 ცენტნერის ნაცვლად მიიღო 643 ცენტნერი წონამატი და აწარმოვა 144 ათასი მანეთის პროდუქცია. ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით წარმოებული პროდუქციის რაოდენობამ 18.000 მანეთს გადააჭარბა. ეს მეურნეობის საშუალო მაჩვენებელზე ექვსჯერ მეტია. ცენტნერი ღორის ხორცის წარმოებისათვის არენდატორებმა დახარჯეს 8 ცენტნერი საკვები ერთეული, მაშინ, როდესაც მეურნეობაში დახარჯული აქვთ 13,8 ცენტნერი.

შარშან საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ენისელის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის და მეღორეობის საიჯარო ბრიგადებმა. საბუის საბჭოთა მეურნეობაში ფუნქციონირებს სამი ოჯახური იჯარით მომუშავე რგოლი, თითოეულ მათგანს გაპიროვნებული აქვს 30 ჰექტარი ვენახი და სანიმუშოდ უვლიან.

მაგრამ არენდული იჯარის მთელი სიკეთე მაინც ახალსოფლის მაგალითით ვლინდება. აქ სამმა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტმა, რომლებიც წინათ სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდნენ, მოსავლიანად ჩაიბარა მეღორეობის ფერმა. მიმდინარე წლის ექვსი თვის შედეგებით მათ მიღებული ჰყავთ 355 გოჭი, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 145-ით მეტი. სადღეღამისო წონამატმა დაგეგმილი 255-ის ნაცვლად 290 გრამი შეადგინა. ცენტნერი ხორცის წარმოებაზე ცხრის ნაცვლად დახარჯეს 7 ცენტნერი საკვები ერთეული. არადა, შარშან დაიხარჯა 13 ცენტნერი საკვები ერთეული. ერთი კილოგრამი ხორცის თვითღირებულება 6 მანეთით შემცირდა და 1.30 მანეთს შეადგენს. რა თქმა უნდა, ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება. და რა გასაკვირია, რომ კოლექტიური და საოჯახო იჯარა, სამეურნეო ანგარიშის, ინტენსიური ტექნოლოგიის დანერგვა რაიონულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების, მათი დირექციების, პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაობის მთავარი მიმართულება გახდა.

მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოების საქმიანობაში ყველაფერი რიგზე არ არის და არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრა პარტიის რაიკომის მხრივ მუდმივ ყურადღებას მოითხოვს.

დიახ, გარდაქმნის შემოქმედი ადამიანია და, ამდენად, სწორედ ადამიანებზე, ჩვენს კადრებზეა დამოკიდებული გარდაქმნის საბოლოო შედეგი.

მკვიდრდება მუშაობის ახალი, სრულყოფილი ფორმები, საქმიანი და კონკრეტული სტილი, ნათლად იგრძნობა ხელმძღვანელობის პოლიტიკური მეთოდებისკენ შემობრუნება, ადამიანებთან ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა, ფართოვდება საჯაროობა, კოლეგიალურობა, ხელმძღვანელის არჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შრომითი კოლექტივის, პირველადი პარტიული ორგანიზაციის თითოეული წევრის აზრს და წინადადებას.

ამჟამად რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მთავარი საზრუნავია საანგარიშო-საარჩევნო კრებების სათანადო დონეზე ჩატარება. მათი თავისებურება საყოველთაოდ ცნობილია. ძირითად საკითხთან — საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის განხილვასთან ერთად მათ მოუწევთ არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხის — XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მასალების განალიზება და მათ მიხედვით საკუთარი ამოცანების გამოკვეთა. გარდა ამისა წელს ახლებურად, ახალი ინსტრუქციების შესაბამისად უნდა მოეწყოს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები. ახალ პირობებში არჩევნები ნიშნავს სრულ დემოკრატიას, კომუნისტებისა და მშრომელების ნება-სურვილის გამოხატვას. ზემდგომი ორგანოების მხრივ ყოველგვარი რეგლამენტირება და რეკომენდება გამორიცხულია. საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა ასევე დემოკრატიულად უნდა აირჩიონ რაიონული პარტიული ორგანიზაციის XXX კონფერენციის დელეგატები, კონფერენციამ კი რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა...

ყველა ეს სიახლე პროგრესულია, მაგრამ საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ შორს არის. ეს ვიცით ყველამ. მაგრამ ამასთანავე ვიცით ისიც, რომ გარდაქმნას ალტერნატივა არა აქვს. ეს პროცესი შეუქცევადია. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომი, რაიონის კომუნისტები და მშრომელები კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა სრულყოფილად განხორციელებისათვის, რაიონული პარტიული კონფერენციის ღირსეული შეხვედრისათვის. ეს ამჟამად ჩვენი ყველაზე დიდი ვალია.

ი. მოლაშვილი,
პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი.

შეკვეთები—დროულად

თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის კოლექტივმა მთლიანად შეასრულა პროდუქციის მიწოდების ვალდებულება. ამასთან, დაამზადა გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად მეტი ნაწარმი და გააუმჯობესა სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მომუშავე ქარხანამ რვა თვეში 1,5 მილიონი მანეთი მოიგო. საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმაც, ათვისებულია ახალი სახეობის ძირითადი პროდუქცია.

სურათებზე: გაზის აპარატურის ქარხნის ერთ-ერთი საუკეთესო ზეინკალი იამზე ზუბაშვილი; საამწყობო საამქროს ხედი.

თ. ნიკოლაიშვილის („კომუნისტი") ფოტო.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ბულგარელი ხალხის დღესასწაული

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 44-ე წლისთავს მიეძღვნა.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა რ. სირაძემ.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს და ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობას სოფიაში.

▼▼

დეპუტატი დაეხმარა

ყოველი ღონე იხმარა სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატმა ა. გამახარიამ, რათა მშენებლებს, რომლებმაც 54-ბინიანი სახლი ააშენეს აფხაზეთის დედაქალაქის ახალ მიკრორაიონში, ახალმოსახლეთა საჩივრის მიხედვით აღმოეფხვრათ ხარვეზები, მოეწესრიგებინათ კომუნალური კომუნიკაციები. დეპუტატმა ამ საქმეში ჩააბა საბინაო ტრესტის უფროსი ა. კაკალია, მიკრორაიონის საბჭოს თავმჯდომარე ნ. ცომალა. მათთან ერთად აკონტროლებდა, თუ როგორ სრულდებოდა სამუშაოები, თავად შოულობდა მომარაგებლებისაგან საჭირო საშენ მასალებს. და საქმეც აეწყო. ახალი სახლის მცხოვრებნი კეთილმოწყობილ ბინებში შესახლდნენ.

▼▼

ახალმოსახლეობას იზეიმებენ

მშენებელთა და ენერგეტიკოსთა საცხოვრებელი დაბის მშენებლობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მახლობლად. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებით რესპუბლიკის ამ უდიდესი სადგურის სიმძლავრე მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. ელექტროენერგიის დიდ მატებას უზრუნველყოფენ ახალი ენერგოაგრეგატები, რომელთაგან პირველი გაისად გამოუშვებს „პროდუქციას", ხოლო უკვე მიმდინარე წელს ახალმოსახლეობას იზეიმებენ პირველი მშენებლები, რომლებიც მუშაობენ სადგურის გაფართოებისათვის.

ინტერვიუ მკითხველთა თხოვნით

ახალი „ჟიგული" — ძველის ნაცვლად...

როგორც ცნობილია, 1988 წლიდან მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა ჩააბაროს თავისი საკუთარი ძველი მსუბუქი ავტომობილი და გარკვეული კომპენსაციით მის ნაცვლად შეიძინოს ახალი. საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსს ანზორ ბუზუხაძეს და სთხოვა ეპასუხა ჩვენი მკითხველებისათვის ზოგიერთ საინტერესო კითხვაზე.

— როგორია ამ სიახლის მიზანი და რამდენი ავტომანქანის რეალიზაციაა გათვალისწინებული ამ გზით?

— მთავარი მიზანი საავტომობილო პარკის თანდათანობითი და გეგმაზომიერი განახლებაა. რესპუბლიკაში არცთუ ცოტა ასეთი მსუბუქი ავტომობილი დაგროვდა, რომელთა ექსპლოატაცია აღარ არის მიზანშეწონილი არც მოძრაობის უსაფრთხოების, და არც ჩვენში გამწვავებული ეკოლოგიური პრობლემის თვალსაზრისით. ამიტომ ავტომანქანების გამოცვლისას მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული სწორედ ეს მომენტები. რაც შეეხება გასაცვლელი სატრანსპორტო საშუალებების ლიმიტს, 1988 წელს იგი შეადგენს ყველა მარკის 150 „ჟიგულს", გორკის ავტოქარხნის 100 ავტომანქანას — ეს არის გაზ/მ — 20, 21, 22, გაზ-69 და სხვ. ამ 250 ავტომანქანის გამოსაცვლელად გამოყოფილია ვაზ — 21063 მარკის „ჟიგულები". გარდა ამისა, შესაბამის მარკებზე გასაცვლელად განკუთვნილია კიდევ 100 „ზაპოროჟეცი" და 100 „მოსკვიჩი".

— როგორია გაცვლის წესი და რა ძირითადი მოთხოვნებია წაყენებული ამისათვის?

— რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო „ჟიგულების" გაცვლის ლიმიტებს ანაწილებს რეგიონებისა და რაიონების მიხედვით. თავის მხრივ, სახალხო დეპუტატთა საბჭოების შესაბამისი აღმასკომები ამ ლიმიტებს ანაწილებენ მოსახლეობაში. რაც შეეხება „ზაპოროჟეცსა" და „მოსკვიჩს", მათ უშუალოდ ანაწილებენ ამ დამამზადებელი ფირმების რესპუბლიკური მეთაური ორგანიზაციები. ამავე დროს საჭიროა, რომ გასაცვლელი ავტომანქანა მფლობელის სახელზე ირიცხებოდეს სულ ცოტა სამი წლის განმავლობაში და მთლიანად იყოს დაკომპლექტებული.

— რა უნდა ქნან მოქალაქეებმა, რომლებსაც აღმასკომებმა მისცეს ავტომობილის გამოცვლის ლიმიტი?

— ავტომფლობელი, რომელმაც „ჟიგულის" გამოცვლის ლიმიტი მიიღო, უნდა გამოცხადდეს — „ავტოვაზტექმომსახურების" ცენტრში (ქ. თბილისი, ორხევი, 2); ისინი, ვინც აბარებს გორკის ავტოქარხნის ავტომობილებს, — რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება „გაზში" (ქ. თბილისი, ხოშარაულის ქუჩა № 29), ხოლო ისინი, ვისაც სურს გაცვალოს „ზაპოროჟეცი" ან „მოსკვიჩი" — „ზაზის" შესაბამის მეთაურ გაერთიანებებში (ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი, 64) და „მოსკვიჩი" (ქ. გურჯაანი, გაერთიანება „აზლკ").

იმ პირებს, რომლებიც ცვლიან ავტომანქანებს „ჟიგულსა" და „გაზს", თან უნდა ჰქონდეთ აღმასკომის მიერ გაცემული დოკუმენტი და პასპორტი, რომლებიც ადასტურებენ, რომ ისინი აყვანილი არიან ძველი ავტომანქანის გამოცვლის აღრიცხვაზე, აგრეთვე ტალონი იმის შესახებ, რომ ავტომობილი მოხსნილია აღრიცხვიდან სახავტოინსპექციის ორგანოებში.

მიღებული ტალონის საფუძველზე ავტომანქანა იხსნება აღრიცხვიდან სახავტოინსპექციის ადგილობრივ განყოფილებაში და ბარდება ფირმის შესაბამის ორგანიზაციას.

— როგორც ჩანს, ძველი ავტომანქანების ჩაბარებისას მფლობელები მიიღებენ გარკვეულ ფულად კომპენსაციასაც?

— რა თქმა უნდა. ძველი „ჟიგულების" მფლობელებს აუნაზღაურდებათ 400-დან 600 მანეთამდე, გორკის ავტოქარხნის ავტომანქანების მფლობელებს — 200-დან 1000 მანეთამდე, „მოსკვიჩისას" — 50-დან 150 მანეთამდე, ხოლო „უაზის" მარკის ავტომანქანების მფლობელებს — 700 მანეთი. ერთი და იგივე მარკის ავტომობილების დიფერენცირებული საკომპენსაციო თანხა დადგენილია მათი მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

— გაგრძელდება თუ არა ეს სიახლე მომავალშიც და გაიზრდება თუ არა გასაცვლელი ავტომობილების რიცხვი?

— გაისად გაცვლა აუცილებლად მოხდება, მაგრამ ავტომობილების რაოდენობა ჯერ არ არის დადგენილი. რაც შეეხება უფრო შორეულ პერსპექტივასა და ცვლილებებს, მათ შესახებ გამოვაქვეყნებთ დამატებითს ცნობებს.

სხვათა შორის, უფრო დაწვრილებითი ცნობები ყველა ამ საკითხზე შეგიძლიათ მიიღოთ, თუ დარეკავთ ტელეფონით: თბილისი, 99-07-07.

ქმედითობა

ზვარში ვაზის გოდება ისმის

„კომუნისტი", 1988 წლის 22 ივნისი

ამ სათაურით გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელშიც საუბარი იყო იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში უგულოდ ეკიდებოდნენ ვაზს. სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ ზვრებში აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად ჩატარებას, რამაც გამოიწვია ვენახების დაავადება და დასარევლიანება...

ამის გამო გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ რამდენიმე პასუხი მიიღო. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:

საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი თ. ლეკიშვილი.

— **რაიონის** ცალკეული მეურნეობების ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის საკითხი განიხილეს შესაბამისმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტიის თელავის რაიკომის ბიურომ. მთელი რიგი სპეციალისტები და საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები მკაცრად დაისაჯნენ. **ხოლო ვენახების ჭრაქით დაავადების შედეგად ყურძნის დანაკარგების ფაქტები გადაეცა რაიონის პროკურატურას.**

საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი თ. მბისურაძე:

— **აღნიშნული** წერილის გამო გაცნობებთ, რომ გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ვ. პარასტაევი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. დაისახა ღონისძიებები ზვრებში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. მიმდინარეობს რიგთაშორისებისა და ვაზებს შორის თოხნა. ნაწილ ფართობებზე, სივრცეების მოსასპობად გამოვიყენეთ ჰერბიციდები, რაც ყურძნის დავალების შესრულების უთუო პირობას ქმნის.

საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომი. ლ. თურმანაული.

— **კრიტიკა,** დუშეთის რაიონის შუახევისა და არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობების მესვეურთა მიმართ სამართლიანია. წერილში მოყვანილი ფაქტები განვიხილეთ პარტიის დუშეთის რაიკომის ბიუროსა და რაისაბჭოს აღმასკომის ერთობლივ სხდომაზე.

ცნობად იქნა მიღებული, რომ არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობის №6 ბრიგადის ხელმძღვანელი ზ. ბადაგაძე სამუშაოდან განთავისუფლებულია.

სხდომამ პრინციპულად შეაფასა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მიერ გაწეული მუშაობა. პარტიული სასჯელები დაედოთ მეურნეობების ხელმძღვანელებს, მთავარ სპეციალისტებსა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები ვენახებში შექმნილი არასასურველი მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. გორგოძე.

— **წერილში** მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ვენახების მოვლა-დამუშავების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე იმსჯელა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭომ და ვენახებში მწვანე ოპერაციების დაგვიანებით ჩატარებისათვის მკაცრად გააფრთხილა საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები... რაიონი ყურძნის წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის დავალებებს გადაჭარბებით შეასრულებს.

საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი გ. ნოზაძე.

— **წერილი** ოპერატიულად განიხილა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭომ. დაისაჯნენ დამნაშავენი, დაისახა კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა მევენახეობაში შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამჟამად რაიონის ზვრებში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

კომუნისტი

არცერთი ნაბიჯი უკან!

ვინ არ სმენია სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის № 227 ბრძანება, ან ამ ბრძანებიდან გამომდინარე უსასტიკესი მოთხოვნა — „არც ერთი ნაბიჯი უკან!", რომელიც დიდი სამამულო ომის ისტორიის საკითხებზე შექმნილ თითქმის ყველა მეცნიერულ შრომებში და სტუდენტურ სახელმძღვანელოებშია ნახსენები. ზოგიერთ ავტორს (საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი, აკადემიკოსი ა. მ. სამსონოვი და სხვ.). ამ ფრიად გასაიდუმლოებული დოკუმენტის ცალკეული ადგილები ციტირებული აქვთ თავის შრომებში, მაგრამ ამ ბრძანების სრული ტექსტი ჩვენი საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის უცნობია და დღემდე არსად არ გამოქვეყნებულა (თუ არ ჩავთვლით, რომ ის ამას წინათ ქ. მოსკოვში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე იყო გამოტანილი, რამაც გადაგვაწყვეტინა დღეს ამ დოკუმენტის სრული სახით საჯაროდ გამოტანა).

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ი. ბ. სტალინის 1942 წლის 28 ივლისის № 227 ბრძანებას პირველად 1974 წელს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში მუშაობისას გავეცანით, მერე კი რამდენიმე წლის შემდეგ ეს ძლიერ გასაიდუმლოებული ბრძანება ჩვენი ინსტიტუტის პარტიული არქივის ფონდებში აღმოჩნდა, რაც მოულოდნელი იყო, რადგან, მთავარბანაკის მითითების მიხედვით ამ ბრძანებას უნდა გაცნობოდნენ საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყველა ქვედანაყოფებში, სამხედრო გემებზე და იმავე დღეს დაებრუნებინათ შესაბამის შტაბებში გასანადგურებლად. ბრძანების ის ეგზემპლარი, რომელიც ჩვენს პარტიულ არქივშია დაცული —საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის სახელზე გამოგზავნილი დოკუმენტია.

აი, ისიც, რომლის სრულ ტექსტს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირველად ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს:

„ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა

ქ. მოსკოვი № 227 28. 7. 42 წელი

მტერი ფრონტზე სულ ახალ და ახალ ძალებს ისვრის, არ ერიდება დიდ დანაკარგებს და წინ, საბჭოთა კავშირის სიღრმეში მიიწევს, იტაცებს ახალ რაიონებს, აუკაცრიელებს და არბევს ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, ძალმომრეობს, ძარცვავს და ხოცავს საბჭოთა მოსახლეობას.

ბრძოლები მიმდინარეობს ვორონეჟის რაიონში, დონზე, სამხრეთით ჩრდილოეთ კავკასიის კარიბჭესთან. გერმანელი ოკუპანტები ვოლგისაკენ მიილტვიან, სურთ რადაც არ უნდა დაუჯდეთ ხელთ იგდონ ყუბანი, ჩრდილოეთ კავკასია მისი ნავთობითა და სხვა სიმდიდრეებით. მტერმა უკვე დაიპყრო ვოროშილოვგრადი, სტაროველსკი, როსოში, კუპიანსკი, ვალუიკი, ნოვოჩერკასკი, დონის როსტოვი, ვორონეჟის ნახევარი.

სამხრეთის ფრონტის ჯარების ნაწილმა, რომელიც აჰყვა პანიკიორებს, მოსკოვიდან ბრძანების მიუღებლად და სერიოზული წინააღმდეგობის გაუწევლად დატოვა როსტოვი და ნოვოჩერკასკი, რითაც ლაფში ამოსვარეს თავიანთი დროშები.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, რომელიც სიყვარულით და პატივისცემით იყო განწყობილი წითელი არმიისადმი, იმედი უცრუვდება და კარგავს მისდამი რწმენას, ხოლო ბევრი მათგანი დღეს წყევლის წითელ არმიას იმის გამო, რომ იგი მჩაგვრელთა უღელქვეშ ტოვებს ჩვენს ხალხს, თვითონ კი აღმოსავლეთისკენ გარბის.

ფრონტზე მყოფი ზოგიერთი უგუნური ადამიანი თავს იმშვიდებს იმაზე ლაპარაკით, რომ ჩვენ კიდევ შეგვიძლია უკან, აღმოსავლეთისაკენ დახევა, რადგან დიდი ტერიტორია, დიდი მიწები და დიდი მოსახლეობა გვყავს და რომ მუდამ საკმაოდ გვექნება პური. ამით მათ სურთ გაამართლონ ფრონტზე თავისი სამარცხვინო საქციელი, მაგრამ ასეთი ლაპარაკი ცრუ და არაგულწრფელია, ის მარტო მტერს აძლევს ხელს.

ყოველ მეთაურს, წითელარმიელსა და პოლიტმუშაკს უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენი სახსრები ამოუწურავი არ არის, საბჭოთა სახელმწიფოს ტერიტორია უდაბნო კი არაა — ესაა ჩვენი ხალხი — მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, ჩვენი მამები, დედები, ცოლები, ძმები, შვილები, სსრკ ტერიტორია, რომელიც უკვე დაიპყრო და ცდილობს დაიპყროს მტერმა — ესაა პური და სურსათი არმიისა და ზურგისათვის, ლითონი და სათბობი მრეწველობისათვის, ფაბრიკები, ქარხნები, რომლებიც არმიას ამარაგებენ იარაღითა და საჭურველით, ესაა რკინიგზები.

უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, დონბასის და სხვა ოლქების დაკარგვის შემდეგ ჩვენ ბევრად უფრო მცირე ტერიტორია დაგვრჩა, მაშასადამე უფრო ნაკლები ხალხი, პური, ლითონი, ქარხნები, ფაბრიკები. ჩვენ დავკარგეთ 70 მილიონზე მეტი მოსახლეობა, 800 მილიონ ფუთზე მეტი პური წლიურად და 10 მილიონ ტონაზე მეტი წლიური ლითონი. ჩვენ გერმანელებთან შედარებით აღარ გაგვაჩნია უპირატესობა, არც ადამიანთა რეზერვებისა და არც პურის მარაგის მხრივ. უკანდახევის გაგრძელება ნიშნავს დაიღუპო თავი და მასთან ერთად დაღუპო ჩვენი სამშობლოც.

ჩვენს მიერ დატოვებული ტერიტორიის ყოველი ახალი მტკაველი მიწა ყოველნაირად აძლიერებს მტერს და ყოველნაირად ასუსტებს ჩვენს სამშობლოს. ამიტომაც საჭიროა ძირშივე აღვკვეთოთ ლაპარაკი იმაზე, რომ შეგვიძლია უსასრულოდ ვიხევდეთ უკან, რომ ჩვენ ბევრი ტერიტორია გვაქვს, რომ დიდია და მდიდარი ჩვენი ქვეყანა, რომ გვყავს უამრავი მოსახლეობა და ყოველთვის თავსაყრელად გვექნება პური.

არაგულწრფელი და მავნეა ასეთი ლაპარაკი, რომელიც გვასუსტებს ჩვენ და აძლიერებს მტერს. თუ უკანდახევა არ შევწყვიტეთ დავრჩებით უპუროდ, უსათბობოდ, ულითონოდ, უნედლეულოდ, ფაბრიკა-ქარხნებისა და რკინიგზების გარეშე. აქედან გამოდის, რომ დროა შევწყვიტოთ უკანდახევა. არც ერთი ნაბიჯი უკან! — ახლა ასეთი უნდა იყოს მთავარი მოწოდება. უნდა შეუპოვრად, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ თითოეული პოზიცია, თითოეული მეტრი საბჭოთა ტერიტორია, მოვეჭიდოთ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწას და უკანასკნელ შესაძლებლობამდე დავიცვათ ის.

მძიმე დღეებს განიცდის ჩვენი ქვეყანა. ჩვენ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა შევაჩეროთ, ხოლო შემდეგ უკუვაგდოთ და გავანადგუროთ მტერი.

გერმანელები არც ისე ძლიერნი არიან, როგორც ეს პანიკიორებს ეჩვენებათ. ისინი უკანასკნელ ძალებს ძაბავენ. უახლოესი, რამდენიმე თვის მანძილზე გავუძლოთ და შევაკავოთ მათი დარტყმები — ეს ნიშნავს უზრუნველვყოთ ჩვენი გამარჯვება.

შეგვიძლია თუ არა გავუძლოთ მტრის დარტყმას, ხოლო შემდეგ უკუვაგდოთ ის დასავლეთისაკენ? დიახ შეგვიძლია, რადგან ახლა ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები ზურგში მშვენივრად მუშაობენ და ახლა ჩვენი ფრონტი ღებულობს სულ უფრო და უფრო მეტ თვითმფრინავებს, ტანკებს, არტილერიას, ნაღმსატყორცნებს.

მაშ რაღა გვაკლია? არ გვყოფნის წესრიგი და დისციპლინა ასეულებში, ბატალიონებში, პოლკებსა და დივიზიებში, სატანკო ნაწილებში, საავიაციო ესკადრილიებში. აი ჩვენი მთავარი ნაკლი. ჩვენ უნდა დავამყაროთ ჩვენს არმიაში უმკაცრესი წესრიგი და რკინის დისციპლინა, თუ მართლაც გვინდა ვიხსნათ მდგომარეობა და დავიცვათ ჩვენი სამშობლო.

ჩვენ მეტს ვეღარ ავიტანთ მეთაურებს, კომისრებს და პოლიტმუშაკებს, რომელთა ნაწილები და შენაერთები თვითნებურად ტოვებს საბრძოლო პოზიციებს. შემდგომში მეტს ვეღარ ავიტანთ, როცა მეთაურები კომისრები და პოლიტმუშაკები დაუშვებენ პანიკიორებმა განსაზღვრონ მდგომარეობა ბრძოლის ველზე — უკანდახევაში აიყოლიონ სხვა მებრძოლებიც და ფრონტი გაუხსნან მტერს. პანიკიორები და მხდლები ადგილზევე უნდა მოვსპოთ.

ამიერიდან თითოეული მეთაურის, წითელარმიელისა და პოლიტმუშაკისათვის დისციპლინის რკინის კანონად უნდა იქცეს მოთხოვნა — არც ერთი ნაბიჯი უკან ზემდგომი სარდლობისაგან ბრძანების მიუღებლად.

ამიერიდან ასეულის, ბატალიონის, პოლკის, დივიზიის მეთაურები და შესაბამისი კომისრები და პოლიტმუშაკები, რომლებიც საბრძოლო პოზიციიდან დაიხევენ ზემოდან ბრძანების მიუღებლად — სამშობლოს მოღალატენი არიან. ასეთ მეთაურს და პოლიტმუშაკებს უნდა მოვექცეთ ისე, როგორც სამშობლოს მოღალატეებს. ასეთია ჩვენი სამშობლოს მოწოდება.

შევასრულოთ ეს მოწოდება — ნიშნავს დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი, გადავარჩინოთ სამშობლო, მოვსპოთ და დავამარცხოთ საძულველი მტერი.

ზამთარში წითელი არმიის შეტევის შედეგად, მტრის უკუგდების შემდეგ, როცა გერმანელთა ჯარში დისციპლინა შეირყა, გერმანელებმა დისციპლინის განსამტკიცებლად ზოგიერთ მკაცრ ზომას მიმართეს, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

მათ 100-ზე მეტი საჯარიმო ასეული ჩამოაყალიბეს იმ მებრძოლებისაგან, რომლებსაც სიმხდალისა და მერყეობის გამო დისციპლინის დარღვევა დაბრალდათ. ეს ასეულები დააყენეს ფრონტის სახიფათო უბნებზე და უბრძანეს სისხლით გამოესყიდათ თავიანთი ცოდვა.

შემდეგ მათ ჩამოაყალიბეს ათამდე ბატალიონი იმ მეთაურებისაგან, რომელთა დანაშაული იყო დისციპლინის დარღვევა სიმხდალისა და მერყეობის გამო, ჩამოართვეს მათ ორდენები, ფრონტის კიდევ უფრო სახიფათო უბნებზე გააგზავნეს და უბრძანეს სისხლით გამოესყიდათ თავიანთი ცოდვა.

მათ ბოლოს შექმნეს სპეციალური გადამღობი რაზმები და ისინი არასაიმედო დივიზიების უკან დააყენეს, რომელთაც დაევალათ ადგილებზევე დაეხვრიტათ პანიკიორები თუ ისინი თვითნებურად მიატოვებდნენ პოზიციებს ან ტყვედ დანებებას ეცდებოდნენ. როგორც ცნობილია ამ ზომებმა შედეგი გამოიღო — ახლა გერმანელთა ჯარები უკეთ იბრძვიან ვიდრე ზამთარში.

და აი, რა გამოდის—გერმანელთა ჯარებს, რომელთაც არა აქვთ თავისი სამშობლოს დაცვის ამაღლებული მიზნები და მხოლოდ მძარცველურ მიზნებს ემსახურებიან, აქვთ კარგი დისციპლინა, ხოლო ჩვენს ჯარებს, რომელთაც სამშობლოს დაცვის მაღალი მიზნები ამოძრავებთ არა აქვთ ასეთი დისციპლინა და ამის გამო მარცხდებიან.

ხომ არ ვისწავლოთ ამ საქმეში ჩვენი მტრისაგან, როგორც წარსულში ჩვენი წინაპრები მტრისაგან სწავლობდნენ და მერე იმარჯვებდნენ? მე ვფიქრობ უნდა ვისწავლოთ.

წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობა ბრძანებს:

1. ფრონტების სამხედრო საბჭოებმა, პირველ რიგში ფრონტების სარდლებმა:

ა) უთუოდ ლიკვიდაცია უყონ უკანდახევის განწყობილებას ჯარებში და რკინისებური ხელით აღკვეთონ იმის პროპაგანდა, თითქოსდა ჩვენ შეგვეძლოს კვლავ უკანდახევა აღმოსავლეთისაკენ, თითქოს ასეთი უკანდახევა არ იქნება ჩვენთვის საზიანო.

ბ) უთუოდ მოხსნან პოსტებიდან და სამხედრო სამართალში გადასაცემად მთავარბანაკში გამოაგზავნონ არმიების ის სარდლები, რომლებიც დაუშვებენ ფრონტის სარდლობისაგან ბრძანების მიუღებლად დაკავებული პოზიციებიდან უკან დახევას.

გ) ფრონტის ფარგლებში ჩამოყალიბებული იქნას ერთიდან სამამდე (გარემოების მიხედვით) საჯარიმო ბატალიონი (800-800 — კაცი), სადაც გაიგზავნებიან ჯარების ყველა სახეობის საშუალო და უფროსი მეთაურები და მათი შესაბამისი პოლიტმუშაკები, რომელთაც ბრალად ედებათ დისციპლინის დარღვევა სიმხდალისა და მერყეობის გამო და დააყენონ ისინი ფრონტის უფრო რთულ უბნებზე, რათა შესაძლებლობა მიეცეთ სისხლით გამოისყიდონ თავისი დანაშაული სამშობლოს წინაშე.

2. არმიების სამხედრო საბჭოებმა, უწინარეს ყოვლისა არმიის სარდლებმა:

ა) უთუოდ მოხსნან თანამდებობიდან კორპუსების და დივიზიების მეთაურები და მათი შესაბამისი პოლიტმუშაკები, რომლებიც დაუშვებენ დაკავებული პოზიციებიდან ჯარების უკან დახევას არმიის სარდლობიდან ბრძანების მიუღებლად და გაგზავნონ ისინი ფრონტის სამხედრო საბჭოში სამხედრო სამართალში გადასაცემად.

ბ) ჩამოაყალიბონ არმიის ფარგლებში 3-5 კარგად შეიარაღებული გადამღობი რაზმები (200 კაცამდე თითოეულში) და ჩაყენებულნი იქნან ისინი არამტკიცე დივიზიების უშუალო ზურგში, დაავალონ მათ პანიკისა და უწესრიგო უკანდახევის შემთხვევაში ადგილებზევე დახვრიტონ პანიკიორები და მხდლები, ამით დახმარება გაუწიონ დივიზიის პატიოსან მეომრებს შეასრულონ თავისი ვალი სამშობლოს წინაშე.

გ) ჩამოაყალიბონ არმიის ფარგლებში 5-დან 10-მდე (გარემოების მიხედვით) საჯარიმო ასეული (150-დან 200-მდე მებრძოლი თითოეულში). ამ ასეულებში გაგზავნონ რიგითი მებრძოლები და უმცროსი მეთაურები, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს სიმხდალისა და მერყეობის გამო, დააყენონ ისინი არმიის ძნელ უბნებზე, რათა მათ საშუალება მიეცეთ სისხლით გამოისყიდონ თავიანთი დანაშაული სამშობლოს წინაშე.

3) კორპუსის და დივიზიების მეთაურებმა და კომისრებმა:

ა) უსიტყვოდ მოხსნან პოსტებიდან პოლკებისა და ბატალიონების მეთაურები და კომისრები, რომლებიც დაუშვებენ თავიანთი ნაწილების თვითნებურ უკანდახევას კორპუსის ან დივიზიის მეთაურის ბრძანების მიუღებლად, ჩამოართვან მათ ორდენები, მედლები და გაგზავნონ ისინი ფრონტის სამხედრო საბჭოში სამხედრო სამართალში მისაცემად.

ბ) ყოველნაირად დახმარება გაუწიონ არმიების გადამღობ რაზმებს ნაწილებში წესრიგისა და დისციპლინის განსამტკიცებლად.

ბრძანება წაკითხულ იქნას ყველა ასეულში, ესკადრონში, ბატარეაში, ესკადრილიაში, გუნდებში, შტაბებში.

თავდაცვის სახალხო კომისარი ი. სტალინი".


ВОЕННОМУ СОВЕТУ ЗАКФРОНТА

ПРИКАЗ

Народного Комиссара Обороны Союза ССР

гор. Москва № 227 28.742 года

Враг бросает на фронт все новые силы и, не считаясь с большими для него потерями, лезет вперед, вглубь Советского Союза, захватывает новые районы, опустошает и разоряет наши города и села, насилует, грабит и убивает советское население.

Бои идут в районе Воронежа, на Дону, на юге у ворот Северного Кавказа. Немецкие оккупанты рвутся к Сталинграду, к Волге и хотят любой ценой захватить Кубань, Северный Кавказ с их нефтяными и хлебными богатствами. Враг уже захватил Ворошиловград, Старобельск, Россошь, Купянск, Валуйки, Новочеркасск, Ростов-на-Дону, половину Воронежа.

Часть войск Южного фронта, идя за паникерами, оставила Ростов и Новочеркасск без серьезного сопротивления и без приказа Москвы, покрыв свои знамена позором.

Население нашей страны с любовью и уважением относящееся к Красной Армии начинает разочаровываться в ней, теряет веру в Красную Армию, а многие из них проклинают Красную Армию за то, что она отдает наш народ под ярмо немецких угнетателей, а сама утекает на восток.

Некоторые неумные люди на фронте утешают себя разговорами о том, что мы можем и дальше отступать на восток, так как у нас много территории, много земли, много населения и что хлеба всегда у

Каждый новый клочок оставленной нами территории будет всемерно усиливать врага и всемерно ослаблять нашу Родину. По этому надо в корне пресекать разговоры о том, что мы имеем возможность без конца отступать, что у нас много территории, страна наша велика и богата, населения много, хлеба всегда будет в избытке.

Такие разговоры являются лживыми и вредными, они ослабляют нас и усиливают врага, ибо, если мы не прекратим отступление, останемся без хлеба, без топлива, без металла, без сырья, без фабрик и заводов, без железных дорог. Из этого следует, что пора кончить отступление. Ни шагу назад! Таким теперь должен быть главный призыв. Надо упорно, до последней капли крови защищать каждую позицию, каждый метр советской территории, цепляться за каждый клочок советской земли и отстаивать его до последней возможности.

Наша Родина переживает тяжелые дни. Мы должны остановить, а затем отбросить и разгромить врага, чего-бы это нам ни стоило.

Немцы не так сильны, как это кажется паникерам. Они напрягают последние силы, выдержать их удар сейчас в ближайшие несколько месяцев, — это значит обеспечить за нами победу.

Можем ли мы выдержать удар, а потом и отбросить врага на запад? Да, можем, ибо наши фабрики и

ბრძანება № 227. (ფოტოასლი).

მკაცრი და ულმობელია სამხედრო ბრძანების თითოეული სტრიქონი, რომელიც 1942 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე შექმნილი ძალზე დაძაბული ვითარებითაა ნაკარნახევი.

1941-1942 წლების ზამთარში მოსკოვთან გერმანელთა ჯარების სასტიკად დამარცხების შემდეგ ორივე მეომარი მხარე თავდაცვაზე გადავიდა და 1942 წლის ზაფხულის კამპანიის ჩასატარებლად ემზადებოდა...

ჰიტლერულმა ვერმახტმა ისარგებლა იმით, რომ ჩვენ ინგლისელ და ამერიკელ მოკავშირეებს ევროპაში მეორე ფრონტი არ ჰქონდათ გახსნილი და მთელი თავისი შეიარაღებული ძალების 80% (8,6 მილიონი ჯარისკაციდან და ოფიცრიდან — 5,3 მილიონი) თავისი სატელიტი ქვეყნების ჯარებთან ერთად აღმოსავლეთის ფრონტზე გადმოისროლა, რითაც მას უპირატესობა მიეცა ძალთა თანაფარდობაში. 1942 წლის მაისისათვის საბჭოთა შეიარაღებული ძალები თავის რიგებში ითვლიდა 5534 ათას კაცს, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს უკიდეგანო ტერიტორიაზე იყო გაშლილი. იმპერიალისტური იაპონიისა და „ნეიტრალური" თურქეთის პროფაშისტური ორიენტაცია იძულებულს ხდიდა საბჭოთა სარდლობას შორეულ აღმოსავლეთისა და თურქეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრებთან მიეჯაჭვა ჩვენი შეიარაღებული ძალების გარკვეული ნაწილი.

თურქეთის მთავრობამ, რომელმაც 1941 წლის 18 ივნისს, ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმამდე ოთხი დღით ადრე მოაწერა ხელი დოკუმენტს ჰიტლერულ გერმანიასთან მეგობრობისა და ურთიერთთავდაუსხმელობის შესახებ, 1942 წლის ზაფხულში ახალი დივიზიები მოაყარა საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრებს და გამორიცხული არ იყო თავისი ტერიტორიიდან ფაშისტური ჯარები შემოეშვა საბჭოთა ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჩვენი მაშინდელი მოკავშირეების ჯარების შემოყვანას ითვალისწინებდა მათ მიერ დაგეგმილი, დაშიფრული ოპერაცია „ველვეტი"-ც (ამაზე ჩვენს საბჭოთა სამხედრო-ისტორიულ ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი თუ არ ჩავთვლით არმიის გენერალ ს. მ. შტემენკოს წიგნში აღწერილ ერთ დიალოგს: საბჭოთა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბიდან თბილისში მოვლინებული გენერალი პ. ბოდინი მიმართავს ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების სარდალს, არმიის გენერალ ი. ტიულენევს: „—იცით თუ არა თქვენ, რომ მოკავშირეები ცდილობენ გამოიყენონ ჩვენი მძიმე მდგომარეობა ფრონტებზე და გამოგვგლიჯონ თანხმობა ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების შემოყვანაზე? ეს რა თქმა უნდა არ შეიძლება დავუშვათ".)

1942 წელს, ზაფხულში ძალთა თანაფარდობაში და ტექნიკაში მოწინააღმდეგის უპირატესობის შედეგად წითელი არმიისათვის დრამატულად წარიმართა მოვლენები სხვადასხვა ფრონტებზე: სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდლობის მიერ დაშვებული შეცდომების შედეგად ხარკოვთან მარცხი განიცადა მე-6, 57-ე და მე-9 არმიებმა, რომლებიც ალყაში მოექცნენ, ტრაგიკული ამბები დატრიალდა ყირიმის ფრონტზე, რომელმაც 19 მაისისათვის არსებობა შეწყვიტა. ცუდად მიდიოდა საქმე ბრიანსკის ფრონტზე, მეტად რთული ვითარება შეიქმნა ქვეყნის სამხრეთში — ყირიმში დამარცხების შემდეგ უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით სევასტოპოლი დატოვეს მისმა გმირმა დამცველებმა, რითაც მკვეთრად გაუარესდა შავი ზღვის ფლოტის მდგომარეობა. უსისტემოდ იხევდა უკან სამხრეთის ფრონტის ჯარებიც. მტერი ლამობდა კავკასიისა და ვოლგისაკენ გაჭრას, რათა ხელთ ეგდო ბაქოს ნავთი და ამიერკავკასიის სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის სიმდიდრენი, შემდეგ მოეწყვიტა ქვეყნის სამხრეთი ცენტრალური რაიონებისაგან, შეეტია მოსკოვისათვის და იმავე, 1942 წლის ბოლომდე გადაეწყვიტა ომის ბედი აღმოსავლეთში.

ძნელი დღეები ედგა ქვეყანას. წითელი არმიის მძიმე თავდაცვითმა ბრძოლებმა და გამუდმებულმა უკანდახევებმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ზოგიერთი შენაერთისა და ნაწილის ბრძოლისუნარიანობაზე. ბრძოლის რთულ ვითარებაში აქა იქ თავი იჩინა მტრის ძალებისადმი შიშმა და ძრწოლამ, რაც უარყოფითად მოქმედებდა მეომართა საერთო განწყობილებაზე.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა — თითოეული ბრძოლისას არის მომენტი, როცა „ყველაზე მამაც ჯარისკაცებსაც კი დაძაბულობის შემდეგ უჩნდებათ ბრძოლიდან გაქცევის სურვილი. ამ პანიკას საკუთარი ვაჟკაცობისადმი უნდობლობა ბადებს; უმნიშვნელო შემთხვევა, მცირედი რამ საკმარისია, რათა ეს ნდობა დაუბრუნდეთ: მაღალი ხელოვნება ისაა, რომ შექმნათ ის".

ომის მძიმე წლებში პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ყველა დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას მიმართავდა ლენინს. ამიტომაც არის, რომ ამ პერიოდის ყველა სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტს ლენინის დიდი მემკვიდრეობის დაღი აზის და მისგან გამომდინარეობს. ასეთ გადაწყვეტილებათა რიცხვს მიეკუთვნება სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მეტად გახმაურებული № 227 ბრძანებაც, რომლის მკაცრი, მომთხოვნი ტონიც სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ ლენინური თეორიიდან გამომდინარეობს.

თავდაცვის სახალხო კომისრის ასეთი ბრძანების გამოცემა მაშინ შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ განაპირობა. მასში უბრალო, ყველასათვის გასაგები ენით გაანალიზებულია ფრონტებზე შექმნილი მძიმე ვითარება და სასტიკადაა დაგმობილი „უკანდახევის" განწყობილება, რომელსაც შეეძლო კატასტროფამდე მიეყვანა ქვეყანა. „შემდეგი უკანდახევა ნიშნავს დაიღუპო თავი და მასთან ერთად დაღუპო ჩვენი სამშობლოც", — ნათქვამია დოკუმენტში, სამხედრო ბრძანება მთელმა არმიამ და ფლოტმა მიიღო როგორც სამშობლოს მოწოდება — გაზრდილიყო თითოეული ჯარისკაცის, ოფიცრის, გენერლის, ადმირალისა და მარშლის პირადი პასუხისმგებლობა სამშობლოს ბედისადმი, ისევე როგორც ყველა ეპოქის სხვა ომების მსვლელობისას, ამ ბრძანებაშიც, რომელიც ომიანობის კანონებიდან გამომდინარეობდა, სასტიკი მოთხოვნები იყო წაყენებული ბრძოლისას სიმხდალის, შიშისა და ძრწოლვის გამოვლინებების აღსაკვეთად — მოწინააღმდეგის არმიების მსგავსად საბჭოთა არმიაში პირველად იქმნებოდა „საჯარიმო ასეულები", რომლებსაც ფრონტის ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე აგზავნიდნენ.

სახალხო კომისრის ბრძანება „გადამღობი ბატალიონების" შექმნასაც ითვალისწინებდა, მაგრამ უნდა ითქვას სიმართლე — მთელი ომის მსვლელობაში არცერთ საბჭოთა მეომარს თავისი ქვედანაყოფის, ნაწილის, შენაერთის ზურგში ეს დამსჯელი რაზმი არ უნახავს. ისინი მოქმედი არმიების ზურგში მტრის დივერსანტების, პარაშუტისტების ან ჩვენი ფრონტიდან გამოქცეული დეზერტირების გამოსავლინებლად იყვნენ გამოყენებულნი.

წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს 1942 წლის 29 ივლისის დირექტივის საფუძველზე ბრძანება № 227-ის არსის თითოეულ მებრძოლამდე დასაყვანად დიდი მუშაობა ჩაატარეს არმიულმა პოლიტორგანოებმა. ყველამ იგრძნო, რომ ამ ბრძანების მოთხოვნათა განუხრელად შესრულებაზე ბევრად იყო დამოკიდებული შემდგომი საბრძოლო მოქმედებათა ბედი, ომის ბედი. სამშობლოს მოწოდება „არც ერთი ნაბიჯი უკან!" საბჭოთა არმიის თითოეული ქვედანაყოფის, ნაწილის, შენაერთის, გაერთიანების შემდგომი მოქმედების კანონად იქცა.

ჩვენი მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება ჩვენი გამოჩენილი მხედართმთავრების და სამხედრო ისტორიკოსების დამოკიდებულება ამ მკაცრი და მომთხოვნი ბრძანებისადმი:

საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ვასილევსკი:

„სავსებით ცხადია, რომ ბრძანების გარეშე პოზიციებიდან უკანდახევისათვის სასტიკი ზომების მიღება, რომელსაც ითვალისწინებდა ბრძანება № 227, სრულიად არ ეწინააღმდეგებოდა ჯარებში მაღალ მორალურ-პოლიტიკური აღმავლობის ფაქტს. იგი მიმართული იყო მხედრული დისციპლინის დარღვევის ცალკეული კონკრეტული შემთხვევების წინააღმდეგ. ამ ბრძანებამ, პარტიის, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის და ფრონტების სარდლობათა სხვა ღონისძიებებმა აამაღლა თვითოეული მეომრის პირადი პასუხისმგებლობა ბრძოლის მიმდინარეობისა და მისი შედეგისათვის. მას არ დაუმდაბლებია საბჭოთა პატრიოტის — სამშობლოს დამცველის ღირსება".

საბჭოთა კავშირის მარშალი ა. გრეჩკო:

„ი. ბ. სტალინის ბრძანებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მებრძოლთა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მდგომარეობის განმტკიცებისათვის, რკინისებური სამხედრო დისციპლინისა და შეუპოვარი თავდაცვის სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის".

საბჭოთა კავშირის მარშალი კ. მოსკალენკო:

„ამ ბრძანებაში მკაცრი სიმართლით დახასიათებულია გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტის სამხრეთ ფრთაზე შექმნილი საშიში მდგომარეობა, რომელიც შეაშფოთა პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი.

ბრძანებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებელი იყო გადაჭრით გაეძლიერებინათ მტრისადმი წინააღმდეგობა და შეეჩერებინათ იგი. სასიკვდილო საფრთხის შეგნებამ, რომელიც კვლავ დაემუქრა სამშობლოს, ჩვენს მეომრებს ახალი ძალები შემატა".

აკადემიკოსი ა. სამსონოვი:

„მტერიც კი იძულებული შეიქნა ეღიარებინა № 227 ბრძანების მნიშვნელობა.

64-ე არმიაში ხელთ იგდეს გერმანელთა სატანკო კორპუსის მეთაურის ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ბოლშევიკები განადგურებულნი არიან და ბრძანება № 227 ვეღარ აღადგენს ვერც დისციპლინას და ვერც ჯარების შეუპოვრობას. რამდენიმე კვირის შემდეგ ხელთ ჩაგვივარდა იმავე კორპუსის მეთაურის სხვა, ახალი ბრძანება. ამჯერად ბრძანება აფრთხილებდა ბატონ ოფიცრებს, რომ სტალინგრადის მისადგომებთან ისინი წააწყდებიან მოწინააღმდეგის ძლიერ და ორგანიზებულ თავდაცვას.

ეს გარემოება აღნიშნულია მეორე მსოფლიო ომის დასავლეთ გერმანულ ლიტერატურაშიც. გ. დერრი აღნიშნავს, რომ „№ 227-მა ბრძანებამ ზეგავლენა მოახდინა ბრძოლების შემდგომ განვითარებაზე".

ვფიქრობთ ეს ბრძანება ამართლებს ვ. ი. ლენინის ზემოთმოყვანილ სიტყვებს, რომ თვით მამაცი ჯარისკაციც კი კარგავს ნდობას საკუთარი ძალისადმი და ამ დროს „მცირედი რამ საკმარისია, რათა ეს ნდობა დაუბრუნდეს; მაღალი ხელოვნება ისაა, რომ შექმნათ ის". სამხედრო ხელოვნების სწორედ ასეთი ნიმუშია ბრძანება № 227-ც, რომელმაც ჯარისკაცს საკუთარი ძალისადმი ნდობა დაუბრუნა და ახალი ძალა შთაბერა.

ტრისტან ჩინჩილაკაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
12 სექტემბერი

◆ ჩეხოსლოვაკია

მიღწევათა დათვალიერება

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის სოფლის მშრომელთა მიღწევების დათვალიერება გახდა გამოფენა „მარჩენალი მიწა", რომელიც ქალაქ ჩეშსკე-ბუდეიოვიცეში დამთავრდა.

წელს გამოფენამ ჩაიარა დევიზით „მეცნიერება სოციალისტური დიდსაქონლიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური განვითარების საფუძველია". ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოწინავე მეურნეობებთან ერთად გამოფენაში მონაწილეობდნენ საზღვარგარეთის ფირმები და სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების სამეცნიერო აგროდაწესებულებანი, რომლებსაც კონტაქტები აქვთ ჩეხოსლოვაკიელ პარტნიორებთან. პროდუქციის საუკეთესო ნიმუშებს მიანიჭეს საპატიო დიპლომები „ოქროს თავთავი". გამოფენის ექსპონატებს მუშაობის თექვსმეტი დღის განმავლობაში გაეცნო 750 ათასამდე დამთვალიერებელი. გაიმართა მიწათმოქმედთა მრავალი შეხვედრა მეცნიერებთან, რომლებზეც განიხილეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხები.

◆ ნიკარაგუა

განახლდება თუ არა მოლაპარაკება?

მანაგუა. შეიარაღებული კონტრრევოლუციის ლიდერები მზად არიან განაახლონ პირდაპირი მოლაპარაკება ნიკარაგუის მთავრობასთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, განუცხადა აქ ჟურნალისტებს ეროვნული შერიგების კომისიის თავმჯდომარემ კარდინალმა მიგელ ობანდო-ი-ბრავომ. სამშვიდობო დიალოგი შეიძლება გაიმართოს სექტემბრის მიწურულს ან ოქტომბრის დამდეგს.

ამ დღეებში სანდინისტურმა მთავრობამ წამოაყენა წინადადება მოეწყოს წინასწარი შეხვედრა გვატემალის დედაქალაქში. როგორც იუწყებოდნენ, კონტრასების პირველი რეაქცია ამ მოწოდებაზე უარყოფითი იყო. ეგრეთ წოდებული „ნიკარაგუის წინააღმდეგობის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა რობერტო ფერეიმ შაბათს განაცხადა, წინასწარი შეხვედრა გვატემალაში „აუცილებელი არ არისო". როგორც აქ ცნობილი გახდა, სანდინისტური მთავრობის წინადადების მიღების ინიციატივა ეკუთვნის ალფრედ სესარას, რომელიც ოპოზიციაში უდგას კონტრასების ახლანდელ „ოფიციალურ" ლიდერს ენრიკე ბერმუდესს. სომოსას გვარდიის ყოფილი პოლკოვნიკი ნიკარაგუის მთავრობასთან ყოველგვარი მოლაპარაკების წინააღმდეგია. თუ ბერმუდესი და მისი მომხრეები მხარს არ დაუჭერენ სესარას ინიციატივას, განხეთქილება კონტრრევოლუციის ბანაკში შეიძლება შეუქცევადი გახდეს. ამას მოწმობს სესარას განცხადება, რომ გავა შეიარაღებული ოპოზიციის „დირექტორატის" შემადგენლობიდან, თუ მის იდეას მხარს არ დაუჭერენ. მან აგრეთვე თქვა, რომ კონტრასები ვერ შეძლებენ ომის განგრძობას ნიკარაგუაში, თუ ოფიციალური ვაშინგტონი შეწყვიტავს მათი საქმიანობის დაფინანსებას და ზემოქმედებას არ მოახდენს სანდინისტურ მთავრობაზე ცენტრალურ ამერიკაში თავისი მოკავშირეების მეშვეობით.

გარდაქმნის ასპექტები

ჩინეთის პრესის ფურცლებზე

პეკინი. საიჯარო პასუხისმგებლობის სისტემაზე გადასვლა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საწარმოთა დამოუკიდებლობისა და უფლებების გაფართოება აქტიურად უწყობს ხელს მათი წარმოების ზრდას, ახალი პერსპექტიული სახეობის პროდუქციის სწრაფ ათვისებას. ამავე დროს, როგორც მოწმობს ადგილობრივი პრესის ცნობები, „საწარმოთა უმრავლესობამ დღემდე ვერ შესძლო აღეკვეთა ადმინისტრაციული ჩარევა, „საერთო ქვაბიდან ჭამის" პრაქტიკა — გათანაბრება, ვერ განახორციელა თვითანაზღაურების პრინციპები".

ბევრი საწარმო, რომლებსაც არ ძალუძთ დამოუკიდებლად გაართვან თავი წარმოების საშუალებების ფასების მკვეთრ ზრდას, ამ ტვირთს ნელ-ნელა აკისრებენ სახელმწიფოსა და მომხმარებლებს. ფასების გაძვირებამ აიძულა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტრო მიეღო სპეციალური გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად მომავალ წელს ფოლადის წარმოების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საშუალებების ფასები დადგინდება ცენტრალიზებული წესით. ასევე განხორციელდება მათი განაწილებაც. კვლავ სერიოზულად დგას ზარალიანი საწარმოების პრობლემა, რომლებიც აღრმავებენ ჩინეთის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს.

აანალიზებს რა ქვეყნის ახლანდელ ეკონომიკურ ვითარებას გაზეთი „ძინძი ჟიბაო" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უნდა დაჩქარდეს საწარმოთა საქმიანობის მექანიზმის გარდაქმნა. როგორც გაზეთის კომენტატორს მიაჩნია, ამ მუშაობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს ადმინისტრაციული და სამეურნეო ფუნქციების განაწილება. ამჟამად საწარმოთა რეფორმის გზაზე კვლავ სერიოზული დაბრკოლებაა მთავრობის უწყებების მიერ „ადმინისტრირების" მეთოდი, და საჭიროა ამისაგან განთავისუფლება წერს გაზეთი. მთავრობის დაწესებულებათა საქმიანობის ხასიათის თანდათანობითი შეცვლის გზით საწარმოებს უნდა მივანიჭოთ უფლება თავად გავიდნენ ბაზარზე, განსაზღვრონ საკუთარი ბედიღბალი დამოუკიდებლობისა და თვითანაზღაურების პრინციპების საფუძველზე.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძირეულად უნდა გადაისინჯოს ზარალიანი საწარმოებისადმი მიდგომა. ახლა ისე გამოდის, რომ რაც უფრო კარგად მუშაობს საწარმო, მით უფრო მეტი ამოცანები ისახება მის წინაშე, მაშინ როცა ჩამორჩენილ საწარმოებს მნიშვნელოვანი შეღავათები ეძლევათ. ასეთი „ზრუნვა" ნიშნავს, რომ ზარალიანი საწარმოები ფაქტობრივად მოწინავეთა „პურს ჭამენ", რაც მნიშვნელოვანწილად ზღუდავს მათს აქტიურობას, თვითანაზღაურება კი ლიტონ სიტყვებად რჩება.

საწარმოთა საქმიანობის მექანიზმის გარდაქმნის მეორე ასპექტად გაზეთი მიიჩნევს განაწილების ამჟამად მოქმედი სისტემის შეცვლას, რომლის დროს შრომის ანაზღაურება უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული მის საბოლოო შედეგებზე. ამასთან ხელფასის ზრდა უნდა ეფუძნებოდეს შრომის ნაყოფიერების რეალურ ზრდას და საწარმოთა ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ამასთან ერთად „ძინძი ჟიბაო" აღნიშნავს სამეურნეო ცხოვრების, იჯითი ახალი ფორმების პერსპექტიულობას, როგორიც არის სააქციო საწარმოების შექმნა, წვრილმანი საწარმოების, გაყიდვის აუქციონერული ფორმა. ყოველივე ეს ხელს უწყობს საწარმოო სტრუქტურის რაციონალიზაციას და სხვა პოზიტიური შედეგების საფუძველია.

ტელეტაიპის ლენტიდან

● პარიზი. ხუთი კაცი მოკლეს, სულ ცოტა 70 დაჭრეს სისხლიანი ხოცვა-ჟლეტის დროს, რომელიც კვირას მოეწყო ჰაიტის დედაქალაქის ღარიბთა ერთ-ერთ უბანში მდებარე ეკლესიაში. ტრაგედია, იუწყება პორტ-ო-პრენსიდან ფრანს პრესის სააგენტო, მოხდა ღვთისმსახურების დროს, რომელსაც 2 ათასამდე კაცი ესწრებოდა. პისტოლეტებით, მაჩეტეთი და ხელკეტებით შეიარაღებული ბანდა შეიჭრა ეკლესიაში, დაარბია იქაურობა, შემდეგ კი ცეცხლი წაუკიდა შენობას. წესრიგის დაცვის ძალები, იუწყება ფრანს პრესი, ამ ამბავში არ ჩარეულან.

● ნიუ-იორკი. დეტროიტი — ქალაქი, რომელიც ითვლება „ამერიკის შეერთებული შტატების საავტომობილო დედაქალაქად", გახდა კიდევ ერთი არაპრესტიჟული ტიტულის მფლობელი. სისხლის სამართლის სტატისტიკის მონაცემების თანახმად, რომელიც გამოაქვეყნა ადგილობრივმა გაზეთმა „ფრი პრესმა", მას მტკიცედ უკავია ქვეყანაში პირველი ადგილი ბავშვთა ძალმომრეობითი სიკვდილიანობის დონით.

● ვაშინგტონი. როგორც ცნობილი გახდა ჟურნალ „ნიუსუიკისათვის", ამჟამად ამუშავებენ საიდუმლო შეთანხმების პროექტს, რომელიც ვაშინგტონს უფლებას მისცემს ჰონდურასის ტერიტორიაზე ააგოს თავისი „მუდმივი ობიექტები". იგი საშუალებას მისცემდა შეერთებულ შტატებს იყოლიოს მუდმივ საფუძველზე ჰონდურასში სამხედრო ქვეგანაყოფები, რომლებსაც ახლა „დროებითი სტატუსი" აქვთ.

● აშშ

ახალი წესის დასამყარებლად

ნიუ-იორკი. საერთაშორისო გაერთიანების შტაბ-ბინაში მუშაობა განაახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმაციის კომიტეტის მეათე სესიამ. მისი მონაწილენი განაგრძობენ ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგში ახალი უფრო სამართლიანი და ეფექტიანი საერთაშორისო წესის დამყარების პრობლემების განხილვას.

როგორც საქდესის კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა სესიის თავმჯდომარემ პაბლო ბარიოსმა (ესპანეთი), სესიის მუშაობაში შესვენება გამოიწვია საინფორმაციო ურთიერთობის გარდაქმნისადმი სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციების არსებითად განსხვავებულმა მიდგომამ. ამ ურთიერთობამ უნდა განამტკიცოს მშვიდობა და საერთაშორისო ურთიერთგაგება ინფორმაციის თავისუფალი მიმოქცევისა და უფრო ფართო და შეწონასწორებული გავრცელების საფუძველზე.

◆ ბირმა

პარლამენტის გადაწყვეტილება

რანგუნი. ბირმაში საყოველთაო არჩევნები მრავალპარტიულ საფუძველზე გაიმართება უახლოეს სამ თვეში, მაგრამ იგი შეიძლება უფრო ადრეც გაიმართოს, თუ ამას ოპოზიცია მოითხოვს.

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სახალხო კრების (პარლამენტის) რიგგარეშე სესიამ. სესიამ გააუქმა კანონი სამხედრო წესების შესახებ, რომელიც შემოიღეს 1988 წლის 8 აგვისტოს, როცა ქვეყანაში საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. საყოველთაო გაფიცვის მომწყობმა საორგანიზაციო კომიტეტმა აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში მოუწოდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების მონაწილეებს განაგრძონ ბრძოლა, რათა მიაღწიონ მთავრობის დაუყოვნებლივ გადადგომას და 1974 წლის კონსტიტუციის გაუქმებას.

ფოტოინფორმაცია

● ეგვიპტელმა რესტავრატორებმა ძველ ადგილას მიამაგრეს 400-კილოგრამიანი ნატეხი, რომელიც მოტყდა ამა წლის თებერვალში სახელგანთქმული სფინქსის „სხეულს". გარდა ამისა, სიძველეთა დეპარტამენტის სპეციალურმა კომისიამ დეტალურად განიხილა და მოიწონა ძველეგვიპტური პირამიდების გიგანტური გუშაგის რესტავრაციის ღონისძიებათა კომპლექსი.

4,5 ათასწლეულზე მეტი ხანია მცხუნვარე მზეში დგას მონოლითური ქანდაკება და მაინც შენარჩუნებული აქვს თავისი პირვანდელი სახე. მაგრამ მისი საგულდაგულო გამოკვლევის შედეგად გამოირკვა, რომ გრუნტის წყლები ნელ-ნელა შლიან ქვის სტრუქტურას. რემონტს საჭიროებს აგრეთვე ქანდაკების ბევრი ნაწილი.

სურათზე: სფინქსის მხარის მონატეხის დამაგრების დროს.

აპ-საქდესის ფოტო

● ეს ველოსიპედი (სურათზე), რომლის გამოყენება ყველანაირ ამინდში შეიძლება, წარმოდგენილი იყო ესენში გამართულ ტურისტული საქონლისა და აღჭურვილობის ბაზრობაზე. ველოსიპედი 8 კილოგრამს იწონის.

როიტერ-საქდესის ფოტო.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

შემოდგომის ეტიუდები.

ს. კილაძის („კომუნისტი") ფოტო.

გუშინ — დღეს — ხვალ

ფაქტი — მოვლენა — კომენტარი

„ვარსკვლავები" და გოლფი

● **წარსულისა** და დღევანდელობის ცნობილ სპორტსმენთა მთელი თანავარსკვლავედი იხილეს მაყურებლებმა, რომლებიც 11 სექტემბერს შეიკრიბნენ მოსკოვის პირველი გოლფ-კლუბის გახსნაზე.

„ფეხბურთის მეფემ" პელემ, ლეგენდარულმა იაშინმა, მსოფლიო ჩემპიონმა პროფესიონალ მოკრივეთა შორის ტაისონმა, ჰოკეისტთა განთქმულმა მწვრთნელმა ტარასოვმა ბედნიერი დებიუტი უსურვეს სსრ კავშირში ახალი სახეობის სპორტს. მაგრამ ამ დღეს ზეიმის გმირად გრძნობდა თავს ტუნბა იუჰანსონი, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა გოლფ-კლუბი — საბჭოთა კავშირ-შვეციის ერთობლივი საწარმო.

— ჩვენი დევიზია — „სპორტი განამტკიცებს მეგობრობას", — აღნიშნა იუჰანსონმა. — ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახალი თამაში სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს შესაძლებლობას მისცემს დაამყარონ კონტაქტები ერთმანეთთან, შეიძინონ ახალი მეგობრები.

მაყურებლებმა ნახეს გოლფის გაკვეთილი, რომელიც იუჰანსონმა ჩაუტარა.

გოლფ-კლუბის გახსნის დღესასწაულში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი და მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ტ. საიკინი.

გასტროლები გრძელდება

● **აფხაზეთის** სახელმწიფო ფილარმონიაში მიმდინარეობს თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის საგასტროლო სპექტაკლები. ექვსი დღის განმავლობაში სტუმრები აჩვენებენ სხვადასხვა ჟანრისა და სტილის საბალეტო სპექტაკლებს. მათ შორის არის ბოლო წლების საუკეთესო საბალეტო დადგმები, რომლებსაც მაღალი შეფასება მისცეს საზოგადოებამ და პრესამ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ: ჯ. გერშვინის „პორგი და ბესი", პ. გერტელის „ამაო სიფრთხილე". ერთაქტიანი ბალეტები: ჟ. ბიზე — რ. შჩედრინის „კარმენ-სიუიტა" და პ. ჩაიკოვსკის მუსიკაზე ჯ. ბალანჩინის „სერენადა".

საგასტროლო სპექტაკლებში ცნობილ, გამოცდილ პროფესიონალებთან ერთად გატაცებით ცეკვავს ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელმაც კარგი შემოქმედებითი სკოლა გაიარა და ოსტატობას ეუფლება.

მოწვევა ესტრადაზე

● **საქართველოს** სახელმწიფო ფილარმონიაში 9 სექტემბერს დაიწყო და ერთ კვირას გასტანს „ღია კარის დღეები", რომლებშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არაპროფესიონალ მუსიკოსებს. ყველას, ვინც სოლო სიმღერით, სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის დაკვრით არის გატაცებული, შესაძლებლობა ეძლევა მოსინჯოს თავისი ძალები პროფესიულ სცენაზე.

შექმნილია ჟიური, რომელსაც სათავეში უდგას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ჯ. ბაღაშვილი. კომპოზიტორები, ცნობილი მომღერლები, მუსიკათმცოდნეები გამოავლენენ ყველაზე ნიჭიერ შემსრულებლებს, რომლებიც შეძლებენ შემდგომში შეავსონ ესტრადის მსახიობთა, მუსიკალურ კოლექტივთა რიგები.

დათვალიერება დამთავრდება გამარჯვებულთა დიდი კონცერტით, რომელშიც მოყვარულებთან ერთად გამოვლენ პროფესიონალთა ანსამბლები.

საერთაშორისო პლენერი ქუთაისში

● **10 სექტემბერს** გაიხსნა ქუთაისის მეორე საერთაშორისო პლენერი. დასავლეთ საქართველოში მხატვართა ასეთი შეხვედრა პირველად სამი წლის წინათ გაიმართა. მისი შედეგი იყო პლენერის დროს თერჯოლაში შექმნილი ნაწარმოებების გამოფენა.

მხატვართა წლევანდელი ერთობლივი მუშაობა 20 ოქტომბრამდე გასტანს. მასში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის, ლენინგრადის და თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები. ფუნჯის საბჭოთა ოსტატებთან ერთად — ესენი კი, ძირითადად, ფერმწერები არიან, პლენერში მონაწილეობას მიიღებენ სოციალისტური ქვეყნების ცხრა წარმომადგენელი, ბერძენი და ესპანელი მხატვრები. გაიყოფიან ორ ჯგუფად, მხატვრები იმუშავებენ დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონში, მათ შორის შავი ზღვის სანაპიროს ლამაზ კუთხეებში.

მუსიკისა და შრომის ზეიმი

● **შემოდგომის** ნაირფერებით მორთულ თელავის დრამატულ თეატრში წარმატებით მიმდინარეობს კამერული მუსიკის სემინარ-ფესტივალი „ქება ვაზისა". როგორც წინა წლებში, ახლაც დიდი მოწონება ხვდათ წილად ქართული საშემსრულებლო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს რესპუბლიკის სახალხო არტისტს ელისო ვირსალაძეს, რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტებს ნატალია გუტმანს და ოლეგ კაგანს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს მარინე იაშვილს და ფესტივალის სხვა მონაწილეებს.

„ქება ვაზისა" დღეს ყველგან ისმის, თეატრის დარბაზშიც და გარეთაც. თელაველი მევენახეები ხომ, ეს ეს არის, რთველს შეუდგნენ მთელი წლის გარჯის დამაგვირგვინებელ შრომის ზეიმს.

ფესტივალის მონაწილენი გულისყურით ეცნობიან მევენახეთა შრომას. ამ დღეებში ლატვიის სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრი ეწვია სოფელ წინანდალს. აქ მათ დაათვალიერეს ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, საუფლისწულო მარანი. შეხვდნენ წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს.

რომ არაფერი ვთქვათ ფესტივალის შემოქმედებითს მხარეზე, რომელიც მონაწილე მუსიკოსთა მაღალი პროფესიონალიზმის გამო მეტად მრავალფეროვანი და ამაღლებულია, ხელოვნების ეს ზეიმი ადამიანთა დაახლოების მეტად ქმედითი წყაროც არის, — თქვა წინანდალში ყოფნისას ორკესტრის ხელმძღვანელმა ტოვი ლივშიცმა.

ფესტივალის მონაწილენი ასევე ეწვევიან ნაფარეულს, სანიორეს, ვარდისუბანს და რაიონის სხვა სოფლებს. „ქება ვაზისა" გრძელდება".

რუბრიკისათვის გამოყენებულია საქდესის, საქინფორმისა და „კომუნისტის" კორესპონდენტთა მასალები.

მართლწესრიგი

ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცების რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფის მორიგ სხდომაზე განიხილეს უკანასკნელ პერიოდში მძიმე შედეგიანი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მიზეზები და გადაწყვიტეს უსაფრთხოების ღვედების ხმარების აუცილებლობა და ავტომობილებზე ახლო მაშუქი ფარების გამოყენება.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ბ. ბახტურიძე შეხვდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსს, მილიციის პოლკოვნიკს გ. ცინცაძეს და სთხოვა გამოეთქვა მოსაზრებანი ამ საკითხებთან დაკავშირებით:

უსაფრთხოების ღვედები და ახლო მაშუქები

„კომუნისტის" ინტერვიუ

უსაფრთხოების ღვედების უპირატესობის შესახებ ჩვენში მძღოლების აზრი ორად იყოფა: უმეტესობას მიაჩნია, რომ მათი ხმარება სრულიადაც არ არის აუცილებელი და იგი მხოლოდ ავტოინსპექციის ახირებაა. არადა, რესპუბლიკის საავტომობილო გზებზე და ქუჩებში წლეულს საგრძნობლად იმატა მძიმე შედეგიანმა ავარიებმა.

რესპუბლიკის საავტომობილო გზებზე ოპერატიული ვითარება კვლავ დაიძაბა. სადღეისოდ უკვე აღირიცხა 1451 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლებმაც 415 ადამიანი შეიწირა, 1695 კი დაშავდა.

ავტოავარიების შედეგად შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 30 კაცით მეტი დავკარგეთ. 71 პროცენტით იმატა იმ მძიმეშედეგიანი ავტოავარიების რიცხვმა, რომელთა დროსაც ერთდროულად 3 და მეტი ადამიანი გარდაიცვალა.

წლეულს მხოლოდ სამ დღეში — 3-დან 5 სექტემბრამდე რესპუბლიკაში მოხდა 26 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, გარდაიცვალა 13 და მძიმედ დაშავდა 35 კაცი!

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი თბილისში, გორში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ახალქალაქის, ახმეტის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, გეგეჭკორის, ზესტაფონის, ყაზბეგისა და ყვარლის რაიონებში.

რესპუბლიკაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა მძიმეშედეგიანობის ზრდა ბევრად განაპირობა, იმ გარემოებამ, რომ მძღოლები ხშირად უგულებელყოფენ უსაფრთხოების ღვედებს. უგულებელყოფენ უპირველესად იმიტომ, რომ როგორც ჩანს, აკლიათ ფსიქოლოგიური მომზადება, არ გააჩნიათ საჭირო ჩვევები.

უპედურება ყველას გვაშოროს, მაგრამ ავტოავარიის შემთხვევაში, ვთქვათ საათში 80 კმ სიჩქარით მოძრავი ავტომანქანის წინალობაზე შეჯახებისას, წარმოიქმნება კოლოსალური ენერგია, რომელსაც ძალუძს ერთი ტონა სიმძიმის ტვირთის ჰაერში ატყ- [illegible]

განლაგებულ სხვა საგნებს. ცხადია, ამ დროს უსაფრთხოების ღვედები ადამიანის გადარჩენის ერთადერთი გარანტიაა.

ამასვე ადასტურებს სხვა მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაც. მაგალითად, იაპონიაში ამ ბოლო წლებში მიაღწიეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა მძიმეშედეგიანობის მკვეთრ კლებას, რაც უპირველესად სწორედ მძღოლებისა და მგზავრების მიერ უსაფრთხოების ღვედებით სწორმა, სავალდებულო სარგებლობამ განაპირობა.

უცხოეთის ბევრ ქვეყანაში დაზღვევის კომპანიებში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამო დაზარალებულს 25 პროცენტით მეტ თანხას უხდიან, თუ დადასტურდება, რომ მას უსაფრთხოების ღვედი ეკეთა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაზღვევის ფულს არ გასცემენ.

ჩვენს ქვეყანაში უსაფრთხოების ღვედების გამოყენება საშუალებას იძლევა 2,4-ჯერ შემცირდეს მსუბუქი ავტომობილების ავარიის დროს დასახიჩრებულ მძღოლთა და მგზავრთა რიცხვი, სიკვდილიანობა კი, შესაბამისად 3,7-ჯერ.

პრაქტიკას ბევრჯერ დაუდასტურებია, რომ, ვთქვათ, საათში 20 კმ სიჩქარით მოძრავი ავტომანქანის შეჯახებასაც კი უმძიმესი შედეგი გამოუწვევია. ამიტომაც ღვედებით სარგებლობა უპრიანი და აუცილებელია ქალაქებში და იმ დასახლებულ პუნქტებშიც, სადაც სიჩქარე შეზღუდულია 60 კილომეტრამდე, და გზებზეც, სადაც საათში 90 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობაა დასაშვები.

აქ ერთი ფსიქოლოგიური მომენტიც უნდა აღინიშნოს. მძღოლები ხშირად თავს იმით იმართლებენ, რომ ღვედებს ავტოავარიის დროს შეუძლია შებორკონ მათი მოქმედება და ამის შიშით არ იკეთებენ მას, მაგრამ ამ მოსაზრებასაც არა აქვს ლოგიკური საფუძველი, და აი რატომ:

ზემოთ აღნიშნულ სიჩქარეთა [illegible]

მიეჯახება რაიმეს, რომ გონება დაკარგოს, ღვედების უქონლობის დროს კი პირიქით ხდება. ახლა განვსაჯოთ, გონებადაკარგულ მძღოლს შეუძლია რაიმე სარგებლობის მოტანა ექსტრემალურ სიტუაციაში?

მაგალითად, ამერიკელმა სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ უსაფრთხოების ღვედებით აუცილებლად სარგებლობის კანონი თავიდანვე რომ შემოღებულიყო, ავტომობილიზაციის მხოლოდ 10 წლის განმავლობაში იგი 90 ათასამდე ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენდა.

შექმნილი ვითარება გვიკარნახებს მკაცრ ადმინისტრაციულ ზომებს მივმართოთ იმ მძღოლების მიმართაც, რომლებიც არ იცავენ საგზაო მოძრაობის წესების მოთხოვნებს უსაფრთხოების ღვედებით სავალდებულო სარგებლობის თაობაზე.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიხსომონ საგზაო მოძრაობის მონაწილეებმა: უსაფრთხოების ღვედები იცავს ჩვენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამიტომაც არის ეს წესი სავალდებულო და 15 სექტემბრიდან ძალამოსილი ხდება.

მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისიის მუშა ჯგუფმა ერთი სიახლის დანერგვაც გადაწყვიტა, რომელიც ამ დღეებში დაიწყო. დღის განმავლობაში მძღოლმა უნდა იმოძრაოს ჩართული ახლო მაშუქი ფარებით. ყოველივე ეს მოახდენს მამობილიზებელ ზემოქმედებას, ხელს შეუწყობს მძღოლთა და ქვეითთა ურთიერთყურადღებას და საბოლოო ჯამში შეამცირებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს. ამას ადასტურებს საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის გამოცდილება და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ჩატარებული ექსპერიმენტები.

ეს სიახლე რამდენიმე დღის წინათ საქართველოს სსრ ტელევიზიის საშუალებით შევატყობინეთ რესპუბლიკის მოსახლეობას და მძღოლებს ვთხოვეთ განეხორციელებინათ ეს ღონისძიება. მადლიერებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი თხოვნა მძღოლთა უმრავლესობამ ყურად იღო და ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ექსპერიმენტის შეუსრულებლობისათვის ადმინისტრაციული სასჯელი არ ხორციელდება, და თუ რომელიმე ავტოინსპექტორი დღისით ახლო მაშუქის ფარების ჩაურთველობისათვის მძღოლს დასჯის ან დააჯარიმებს, ჩვენი თხოვნაა ამ ავტოინსპექტორის შესახებ შეგვატყობინოთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს დროებითი საექსპერიმენტო ღონისძიება არ შეეხება რესპუბლიკის ქალაქებს და მხოლოდ საავტომობილო ტრასებზე განხორციელდება.

პირველი დღეების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთ მძღოლს ავტომობილის გაჩერებისას მაშუქები ჩართული რჩება. ასეთ შემთხვევაში აკუმულატორის დაცლის საშიშროება არსებობს, ამიტომ მძღოლებს ვთხოვთ მეტი ყურადღება გამოიჩინონ.

თეატრი: ინთება რამპის ჩირაღდნები

უჩვეულოდ დაიწყეს...

მორიგი, მეთხუთმეტე თეატრალური სეზონი გახსნა მეტეხის თეატრმა. წარმოდგენილი იყო რ. მიშველაძის „უფანდუროდ სიმღერი". თეატრი სპექტაკლებს უჩვენებს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლის სცენაზე. ვესაუბრებით თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, საქართველოს სახალხო არტისტს **სანდრო მრევლიშვილს**:

— წლევანდელ თქვენს სეზონს, ალბათ, უჩვეულო ელფერი ექნება, მაყურებელმა იცის, რომ თქვენმა კოლექტივმა დატოვა „ადგილის დედა" — მეტეხის ტაძარი...

— დიახ, ახალი სეზონი ჩვენი თეატრისათვის უჩვეულოა. ახალი შენობა გადმოგვცეს თბილისის ძველ უბანში, პირველი მაისის ქუჩაზე, სადაც ადრე საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა კლუბი იყო მოთავსებული. სანამ შენობას „სათეატროდ" გარდავქმნით, დროებით ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლის და სხვა თეატრების სცენებზე გამოვალთ.

— თქვენ ამ ცოტა ხნის წინათ ისრაელში იმოგზაურეთ ქართული თეატრის მოღვაწეებთან ერთად, რა კვალი დატოვა ამ მოგზაურობამ თქვენზე?

— მართლაც ბიბლიურ სამყაროში მოვხვდი, უდიდეს დანაკარგად მიმაჩნია, რომ თაობებმა ჩვენში თითქმის გამოტოვეს უზარმაზარი მხატვრული აზროვნება, ებრაულმა კულტურამ რომ შექმნა. ამ მოგზაურობამ ჩემში ღრმა კვალი დატოვა. თუნდაც იმიტომ, რომ ამჟამად ბიბლიის ახალი აღთქმის სცენურ ვერსიაზე ვმუშაობ ჩვენს თეატრში.

— როგორი განწყობილებაა თეატრის კოლექტივში, რას გვეტყვით შემოქმედებითს გეგმებზე, რას ჰპირდებით მაყურებელს?

— ჩვენთან სამუშაოდ მოვიდა თეატრალური ინსტიტუტის რამდენიმე კურსდამთავრებული, თეატრში მოვიდა ორი მკვეთრი ინდივიდუალობის მსახიობი შოთა ქრისტესაშვილი და რამაზ იოსელიანი. კოლექტივში ჯანსაღი შემოქმედებითი ატმოსფეროა სუფევს, დასს ნებისმიერი მხატვრული ამოცანის გადაწყვეტა შეუძლია.

წლევანდელ სეზონში გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებების სცენურ ადაპტაციაზე იმუშავებს თემურ კოშკაძე, ახალ პიესას გვპირდება მწერალი რევაზ მიშველაძე, რომლის მოსვლა ჩვენს თეატრში ფეხბედნიერი აღმოჩნდა.

დიდი ხანია სურვილი მაქვს ახალ აღთქმას სცენური სიცოცხლე მივანიჭო, რაც ადრე ვერ ხერხდებოდა ობიექტური მიზეზების გამო. ახლა თეატრებს შემოქმედებითი თავისუფლება მიეცათ, და ჩვენც მთელი დატვირთვით ვმუშაობთ ახალ სპექტაკლზე „ამბავი იესო ნაზარეველისა". სპექტაკლის სცენოგრაფია ეკუთვნის მიხეილ ჭავჭავაძეს, კომპოზიტორია გომარ სიხარულიძე. მთელი სპექტაკლის პოეტიკა ჩაფიქრებულია როგორც საგალობლის დაბადება, ისევე როგორც ქაოსიდან შეიქმნა რწმენა, ძალზე გვინდა ხმების ქაოსში აღმოცენდეს საგალობლის ჰარმონია; სპექტაკლში არავითარი მუსიკა არ იქნება, მთავარია მსახიობთა ბუნებრივი ხმა, ამჯერად გვინდა ყურადღება მივაქციოთ ადამიანის ხმის ბევრ გამოუვლინებელ რეგისტრს. დრამატულ თეატრში.

— გისურვებთ შემოქმედებითს სიხარულს.

ესაუბრა
გ. ლალიაშვილი.

სპორტის ამბები

ჩვენი ოლიმპიური იმედი

ერთი ქულის ფასი

თითო მოჭიდავე თითო წონაში — ასეთია ოლიმპიური ასპარეზობის რეგლამენტი. წესი წესია, გამონაკლისი არ არსებობს, თორემ, რა თქმა უნდა, ორივე სპორტსმენი იმსახურებდა სეულის საგზურს. დავით გობეჯიშვილი და ასლან ხადარცევი — ვინ გაემგზავრება ოლიმპიადაზე? მწვრთნელები დიდხანს ყოყმანობდნენ და ბოლოს ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: ოლიმპიელი ის გახდება, ვინც უშუალო ბრძოლაში გაიმარჯვებს. აი, ასე შეიყარა ორი უძლიერესი ფალავნის გზა. ეს პრინციპული პაექრობა, როგორც ცნობილია, დავით გობეჯიშვილის გამარჯვებით დამთავრდა. ბრძოლის ბედი ერთადერთმა ქულამ გადაწყვიტა. ეს ქულა გობეჯიშვილმა დამატებით დროში მოიპოვა. კისლოვოდსკის ოლიმპიურ ბაზაზე გამართულ ამ შეხვედრას იმდენი გულშემატკივარი ესწრებოდა, ოფიციალურ შეჯიბრებაზე გეგონებოდათ თავი. გამარჯვებულს ისე ულოცავდნენ, თითქოს ოლიმპიური მედალი უკვე ჯიბეში ჰქონდა. სიტყვამ მოიტანა, და, თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ ქართველი ფალავანი სეულიდან უმედლოდ არ დაბრუნდება, ოღონდ კაცმა არ იცის, რა ხარისხისა იქნება იგი. ყველაფერი ალბათ გობეჯიშვილისა და ამერიკელი ბრუს ბაუმგარტნერის ორთაბრძოლაში გადაწყდება. ყოველ შემთხვევაში, ფავორიტთა შორის სწორედ ეს ორი ფალავანია.

მაგრამ მოდით, „შინაურ" ამბებს დავუბრუნდეთ. მოხდა ისე, რომ წლევანდელ სპორტულ სეზონში, როცა ოლიმპიური საგზურისათვის ასეთი მძაფრი ბრძოლა იყო გაჩაღებული, გობეჯიშვილი და ხადარცევი ერთმანეთს მხოლოდ 19 აგვისტოს შეხვდნენ. ტაშკენტელი სპორტსმენი თითქოს თავს არიდებდა უშუალო კონკურენტთან შებმას, არადა, როგორც მწვრთნელები აცხადებდნენ, ორ დიდ შეჯიბრებას — თბილისის საერთაშორისო ტურნირსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს უნდა გაერკვია ოლიმპიელთა ვინაობა. ხადარცევმა ტრავმა მოიმიზეზა და სარბიელზე არ გამოსულა, გობეჯიშვილმა კი ორივე ეს შეჯიბრება მოიგო და სავსებით ცხადი გახდა მისი „ოლიმპიური პრეტენზიები". თანაც ყველამ კარგად დაინახა, რომ დავითმა ბოლომდე აღიდგინა სპორტული ფორმაც და დაკარგული რეპუტაციაც. ალბათ გახსოვთ: 1985 წლის დიდი გამარჯვებების შემდეგ (იმ წელს გობეჯიშვილი საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა), როცა ყველას ეგონა, რომ მძიმე წონაში ღირსეული ლიდერი გამოჩნდა, ქართველმა ფალავანმა მეორე პლანზე გადაინაცვლა. იმ პერიოდში ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა: სპორტსმენს მიუთითებდნენ ვარჯიშისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებაზე, უპასუხისმგებლობაზე.

როგორც ჩანს, დავითმა ამ შენიშვნებისაგან სწორი დასკვნები გამოიტანა. მას გვერდში ამოუდგნენ ჭიდაობის მესვეურები, მწვრთნელები და ქომაგები. სპორტსმენი, რომ იტყვიან, თვალსა და ხელს შუა შეიცვალა, ძალღონის დაუზოგავად ვარჯიშობდა და საბჭოთა კავშირის ნაკრების ხელმძღვანელთა ნდობაც დაიბრუნა. მართალია, წელს ევროპის ჩემპიონატზე კვლავ ასლან ხადარცევი წაიყვანეს, მაგრამ მსოფლიო თასის გათამაშებაზე უკვე გობეჯიშვილის ჯერი დადგა. ნაკრების უფროს მწვრთნელს ივან იარიგინს უწინარესად ის აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა დავითი ოლიმპიური ჩემპიონის ბრუს ბაუმგარტნერის დამარცხებას. ჩვენმა ფალავანმა ღირსეულად მოიგო ეს პრინციპული ბრძოლა და შინ საპატიო პრიზით დაბრუნდა.

როგორ დამთავრდება გობეჯიშვილ-ბაუმგარტნერის მორიგი შერკინება? ამ კითხვაზე პასუხს სეულის ოლიმპიადა გაგვცემს.

ე. ვახანია.

ვ. გოგლიძის მემორიალი

შეჯიბრების ზოგი საზღვარგარეთელი მონაწილე, რომლის ძალა და თამაშის სტილი ნაკლებად იყო ცნობილი, სინამდვილეში ნამდვილი „კერკეტი კაკალი" აღმოჩნდა. ეს ითქმის ბულგარელ ლუკოვსსა და ინგლისელ კონკუესტზე, რომლებიც სერიოზულად აცხადებენ პრეტენზიას დიდოსტატის ბალზე. მესამე ტურში ლუკოვმა მოუგო კოზულს (წინა ტურიდან გადადებულ პარტიაში ბულგარელს კონკუესტიც დანებდა) და შეჯიბრების ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

მესამე ტურში პირველი მარცხი იწვნია გუფელდმა. იგი შავებით ზაიჩიკთან შეცდა, უპაიკოდ დარჩა და ვეღარ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. შნაპიკმა სძლია პრანდშტედტერს. ტალი სწრაფად შეუთანხმდა ყაიმზე უბილავას, ნოვიკოვი — რომანიშინს.

მეოთხე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ პირველი პრიზის პრეტენდენტები — რომანიშინი და ტალი. ბრძოლა არ გამწვავებულა და მალე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე უბილავა — ზაიჩიკის პარტიას. დიდხანს ინიციატივას უბილავა ფლობდა, მაგრამ შავები ფრთხილად, ზუსტად იცავდნენ თავს. ცაიტნოტში უბილავამ ვერ შეძლო სწორი გეგმის მონახვა, შეცდა და წააგო. ეს მისი პირველი დამარცხებაა. კოზულმა კონკუესტთან თავი დააღწია პირველ ცაიტნოტს, მაგრამ ორი საათის შემდეგ მეორე ცაიტნოტი წამოეპარა, ვერ მოასწრო უკანასკნელი, მე-60 სვლის გაკეთება და წაგება ჩაეთვალა. შნაპიკმა ლუკოვს სძლია, პრანდშტედტერი და ნოვიკოვი კი ყაიმზე შეთანხმდნენ.

4 ტურის შემდეგ ტალმა, რომანიშინმა და შნაპიკმა 2,5 ქულა მოაგროვეს. ყველა მათგანმა 4 პარტია ითამაშა. 3-3 პარტიის შემდეგ 2 — 2 ქულა აქვთ და ამდენად, ლიდერთა ჯგუფში შედიან ზაიჩიკი, კონკუესტი და ლუკოვი. ყველაფერი ეს მეტად მძაფრ სატურნირო ბრძოლაზე მეტყველებს.

გ. გამრეკელი.

ოლიმპიური კურიერი

● **გუშინ** სეულში გაიხსნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 94-ე სესია. დიდი ინტერესით მოისმინეს სოკ-ის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის სიტყვა. მან აღნიშნა, რომ სოკ-ის წევრებისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მეცადინეობით ოლიმპიური მოძრაობა უფრო ძლიერი და ორგანიზებული გახდა, ვითარდება ოლიმპიური ხოლიდარობის პროგრამა. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ სეულის ოლიმპიადა წარმატებით ჩაივლის.

● **ზაფხულის** ოლიმპიური ასპარეზობის ისტორიაში იაპონიის სპორტულ დელეგაციას საზეიმო გახსნის ცერემონიალზე ამ ქვეყნის დროშით პირველად გაუძღვება ქალი. ეს საპატიო მისია დაეკისრა 21 წლის სინქრონული ცურვის ოსტატს ნივაკა კოტანის. იაპონიის ოლიმპიური გუნდის კაპიტანია მსოფლიო ჩემპიონი, ძიუდოისტი ხიტოხი საიტო.

● **გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ჩოგბურთელები სეულში თავიანთი ლიდერის — ბორის ბეკერის გარეშე გაემგზავრებიან უიმბლდონის ორგზის ჩემპიონმა ტრავმა მიიღო.

— ექიმებმა ექვსი კვირა ამიკრძალეს თამაში,—თქვა ბეკერმა,—წინააღმდეგ შემთხვევაში ტრავმა შეიძლება ქრონიკული გახდეს. ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა. ბოლო დროს მხოლოდ ოლიმპიადაზე ვოცნებობდი. ვეცდები სეულში გულშემატკივრის რანგში მაინც გავემგზავრო. ოლიმპიადა ყველაზე დიდი სპორტული მოვლენაა მსოფლიოში, მე მივესალმები მის იდეებს.

სატურნირო ორბიტა

ჩოგბურთი. ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა 19 წლის დასავლეთგერმანელმა ჩოგბურთელმა შტეფი გრაფმა. ფინალში მან დაამარცხა არგენტინელი გაბრიელა საბატინი — 6:3, 3:6, 6:1. ვაჟთა შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი და შვედი მატს ვილანდერი. ნახევარფინალში ლენდლმა მოუგო ამერიკელ ანდრე აგასს — 4:6, 6:2, 6:3, 6:4, ვილანდერმა — ავსტრალიელ დარენ კაჰილს — 6:4, 6:4, 6:2.

ჭადრაკი. ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც გამოდიან ანატოლი კარპოვი (სსრკ), რობერტ ჰიუბნერი (გფრ), ნაიჯელ შორტი (დიდი ბრიტანეთი), იან ტიმანი, ჯონ ვან დერ ვილი (ორივე — ჰოლანდია), პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) და იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია). მეოთხე ტურში ტიმანმა დაამარცხა პორტიში, ყაიმზე შეთანხმდნენ კარპოვ-ჰიუბნერი, შორტი — ვან დერ ვილი და ჰიარტარსონ-ნიკოლიჩი.

3 ქულით დაწინაურდა კარპოვი. შორტს 2,5 ქულა აქვს, ნიკოლიჩსა და ტიმანს — 2-2, დანარჩენ დიდოსტატებს — 1,5-1,5.

ფეხბურთი. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობაზე მორიგი ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: „მეტალურგი" — „გურია" — 0:0, „დაუგავა" — „სპარტაკი" — 1:0, „როტორი" — „კუზბასი" — 2:1, „ფახთაქორი" — „როსტელმაში" — 2:1, „პამირი" — „ზარია" — 2:1, „კოტაიკი" — „ტავრია" — 2:0, „ყუბანი" — „შინიკი" — 2:0.

რაგბი. უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ეტაპის ბოლოსწინა ტურმა გამოავლინა ფინალის მეოთხე მონაწილე. ეს არის ალმა-ათის ასკ, რომელმაც ანგარიშით 16:6 დაამარცხა კიევის „ავიატორი". დანარჩენმა სამმა გუნდმა — ქუთაისის „მშენებელმა", მონინოს სამხედრო-საავიაციო აკადემიისა და კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროის" რეგბისტებმა უფრო ადრე მოიპოვეს მედლებისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება. ამ ტურში „მშენებელმა" მოსკოვში დაამარცხა ადგილობრივი „ლოკომოტივი" — 19:12, თბილისის „ელმავალმა" — კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი" — 24:10, მოსკოვის „სლავამ" — მონინოს გუნდი — 20:9.

ფინალისტთა კვარტეტი 28 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე ორ წრედ ითამაშებს, შემდეგ კი გაიმართება სუპერფინალური შეხვედრები.

მძლეოსნობა. 21 წლის კუბელმა სპორტსმენმა ხავერ სოტომაიორმა ესპანეთის საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობისას მსოფლიო რეკორდი დაამყარა სიმაღლეზე ხტომაში — 243 სმ. მან 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა შვედი პატრიკ შიობერგის ადრინდელი მიღწევა.

პოტსდამში გამართულ შეჯიბრებაში სარეკორდო შედეგი აჩვენა აგრეთვე პეტრა ფელკემ (გდრ) მან შუბი 80 მეტრზე ტყორცნა. ფელკემ უკვე მეოთხე შესწორება შეიტანა რეკორდების ცხრილში. წინა რეკორდი მან 1,1 მეტრით გააუმჯობესა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

შეიქმნა თ. ვ. ჩანტლაძის დამკრძალავი კომისია ი. ბ. გამრეკელის თავმჯდომარეობით. თ. ვ. ჩანტლაძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

თ. ვ. ჩანტლაძის დამკრძალავი კომისიისაგან

გამოსვენება — 13 სექტემბერს 16 საათზე განსვენებულის ბინიდან — ბარნოვის ქუჩა, № 118.
დაკრძალვა — საბურთალოსსაზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი

ტელევიზია — სამშაბათი, 13 სექტემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს". 13.45 — „ათლეტიზმი". 14.15 — ქართული ენის ტელეკურსი. 14.45 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 15.20 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.05 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.35 — „საქართველოს ტელეფილმების სტუდია 20 წლისაა". დოკუმენტური ფილმი „პეტრიწონის მონასტერი". 17.30 — მოსწავლეთათვის, „მეგობრობა გზად და ხიდად" (განმეორებით). 18.10 — საქართველოს ტელეფილმების სტუდია 20 წლისაა. დოკუმენტური ფილმი „სოხუმი". 18.35 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „ჯაჭვური რეაქცია". 18.45 — XIX საკავშირო პარტკონფერენცია. გარდაქმნის რეალიზმი. „გარდაქმნა და პროფკავშირი" (რატომ ცხარობს ინსპექტორი. განმეორებით). 19.20 — პოეზია. მზია ხეთაგური. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მოამბე. 20.35 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 20.55 — ფეხბურთი სსრ კავშირის თასზე. მერვედფინალი. ლვოვის ასკ კარპატი — თბილისის „დინამო". 12 სექტემბრის მატჩის II ტაიმის ვიდეოჩანაწერი. 21.45 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი". 22.00 — „ვრემია", 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — სატელევიზიო ფონდიდან. გადაცემა თენგიზ ჩანტლაძის მონაწილეობით.

მეორე პროგრამა. 17.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები. „მებუკე უხმობს", „წრიული რბოლა". 18.00 — მოსწავლეთათვის. გეოგრაფია. 18.45 — მხატვრული ფილმი „სიყვარულს ნუ განუდგები". 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „დარიკო".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — „განგაში". დოკუმენტური ფილმი ციკლიდან „ახალგაზრდა გვარდია". 10.30 — მულტფილმები. 10.50 და 16.30 — ახალი ამბები. 16.45 — „მშვენიერი ხარ, რუსულო სიმღერავ". გადაცემა კურსკიდან. 17.15 — ახალი ამბები. 17.20 — საბავშვო ფილმი „მშვენიერი მეხნარი". 18.30 — იმპროვიზაცია მოცემულ თემაზე. ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედების ფესტივალი ქალაქ გორკში. 19.15 — „მეცნიერება: თეორია, ექსპერიმენტი, პრაქტიკა". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.05 — „თქვენი გამოსვლაა, მსახიობო". მღერის გ. კამენნი. 20.25 — პოეზიის წუთები. 20.30 — „გარდაქმნა: პრობლემები და გადაწყვეტა". „არამავმიწანიადაგიანი ზონის გზები". 22.00—„ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — მხატვრული ტელეფილმი „სატრიუმფო თაღი". (აშშ, 1985 წ.). 0.25 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი „მოგზაურობა მოსკოვში. „გზა იაუზის გაღმა". 9.35 და 10.40 — ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 10.00 და 12.05 — ფრანგული ენა. 10.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ისევ გეომეტრიის ქვეყანაში". 11.05 — პროფსასწავლებლების მოსწავლეებისათვის. ესთეტიკური აღზრდა. 11.35 და 12.35 — ბიოლოგია. 11.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ველოსიპედი". 12.55 — მხატვრული ტელეფილმი. 14.00 — დოკუმენტური ფილმები. 14.50 — ახალი ამბები. 14.55 — ტელეფილმი „ბონივურის გული". I სერია. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — რიტმული ტანვარჯიში. 19.45 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 20.30 — მუსიკალური კიოსკი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — საერთაშორისო პანორამა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — დოკუმენტური ტელეფილმი. 0.05 — ახალი ამბები. 0.15 — „გელოდებით, ყმაწვილო". სასკოლომდელ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაცია.

[illegible]

კომუნისტი ინდექსი 66434 — 05559 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14